# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 ივლისი, 2015 წელი.

№120 (7765)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ძლიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში“

ვახუშტი ბაგრატიონი

გიორგი სააკაძე — 440



მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი

წლეულს ქართველი საზოგადოება დიდი ზეიმით აპირებდა, პატივი მიეგო დიდი მხედართმთავრისა და მამულიშვილის, ტრაგიკული ბედის მქონე ქართველის, ტაშისკარისა და მარტყოფის ბრძოლების გმირის გიორგი სააკაძის 440 წლის იუბილის გადახდას 18 ივნისს. საქართველოს დედაქალაქში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო საზეიმო ღონისძიების გადატანა 29 ივნისისთვის გადაწყდა.

ხალხმა, მთავრობის წევრებმა, საზოგადო მოღვაწეებმა პატივი მიაგეს დიდი მხედართმთავრის ხსოვნას — თბილისში გიორგი სააკაძის ძეგლის გვირგვინებით შემკობის შემდეგ ზეიმის მონაწილეებმა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გადაინაცვლეს, სადაც საღამო გალა-კონცერტით დასრულდა.

„მაესტრო“, 29 ივნისი

## ზაზა შენგელიას „თავისუფალი სივრცე“



**ბატონმა ზაზამ ტელევიზია რომ იცის და ამ საქმეში ჭიპი აქვს მოჭრილი, ეს სადავო არ არის. ამიტომ საგანგებოდ ვუსმინე „მაესტროს“ 29 ივნისის „თავისუფალი სივრცის“ სტუმარს, მან, რასაკვირველია, ბევრი რამ სწორად ილაპარაკა.** განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ტელევიზია პარტიული არ უნდა იყოს, ხალხს ტვინს არ უნდა ურეცხავდეს, პროპაგანდისტული მანქანის როლს არ უნდა ასრულებდეს... ეს როგორც კი მომესმა, ვიფიქრე, აი ახლა კი „ცრუსთავი-2“-ს და, ორი აზრი არ არის, აუცილებლად გიორგი გაბუნიას ან ეკა კვესიტაძეს დაასახელებს-მეთქი, როგორც ამ ტელესაწამლავის მფრქვეველი პროპაგანდისტული მანქანის სინდის-ნამუსზე ხელაღებულ „საჭეთმპყრობელთ“, მაგრამ რა, თქვენც არ მომიკვდეთ, მან თავისი აზრის განსამტკიცებლად თავისი მარცხენა ხელი სხვის მარჯვენა ყურს წაავლო — რუსული „როსია-24“ და ამ არხის ცნობილი წამყვანი დიმიტრი კისილიოვი მოიშველია.

კი, ბატონო, კისილიოვი მართლაც პოლიტიკურად და პროპაგანდისტულად ფრიად „გაჯერებული“ ტელეჟურნალისტია, მაგრამ, „ცრუსთავ-2“-ის ზემოხსენებულ ვაიწამყვანთაგან განსხვავებით, კისილიოვი არა რომელიმე ერთი (თანაც დამარცხებული და თავშერცხვენილი) პარტიის პროპაგანდისტულ მანქანას კი არ მართავს, არამედ, ცუდი ქვეყანაა თუ კარგი, თავისი სამშობლოს სასარგებლოდ „მესაჭეობს“ თავისივე არხის პროპაგანდისტულ მანქანას.

ასე რომ, ბატონო ზაზა, ნამდვილად გამიკვირდა თქვენგან ქვეყნისთვის აშკარად ძირის გამომთხრელი ტელეარხისა და ამ არხის ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს გადაცილებულ ტელეჟურნალისტთა ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი თარეშის არმხილება. რა, ქართული მაგალითი ვითომ არ ივარგებდა!

ამიტომ პირდაპირ უნდა მოგმართოთ, რატომ ბრუტუსობთ, ბატონო ზაზა, რა, გეშინიათ, რომ ნაციონალები საქართველოსგან ძებნილი ოდესის გუბერნატორის მეთაურობით ემანდ არ მობრუნდნენ?!.

**ზაზა მჟავანაძე,**
ტელემაყურებელი

## „რუსთავი-2“-ის სოციალური რეკლამა თუ პოლიტიკური განცხადება?!

2

ახალგაზრდა ადვოკატები არხს უჩივიან

## „მე-8 დანესებულებამაც ვერ დაწერა, რომ თეთრაძე გულით მოკვდა“

3



## რატომ არ სურთ ფერმერებს მოსავლის სტიქიისგან დაზღვევა?

4

## „ბოლო დღეებში მომხდარი ტერაქტები დასავლეთს რუსეთთან თანამშრომლობას აიძულებს“

2

ინფორმაცია

## ირაკლი ღარიბაშვილი ქუვეითის პრემიერს სამძიმარს უცხადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქუვეითის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს შეიხ ჯაბერ ალ-მუბარაქ ალ-ჰამად ალ-საბაჰს სამძიმარს უცხადებს.

„საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით, გამოვთქვამ უდიდეს მწუხარებას 2015 წლის 26 ივნისს იმამ სადიქის მეჩეთში განხორციელებული აფეთქების გამო, რომელმაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. საქართველო უპირობოდ გმობს ტერორიზმის ნებისმიერ გამოხატულებას მსოფლიოში. ამ სასტიკ და შემაძრწუნებელ აქტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც უმძიმეს დანაშაულს მთელი ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ. გარწმუნებთ, გლოვის ამ მძიმე წუთებში ქართველი ხალხი გვერდით უდგას მეგობარ ქუვეითელ ხალხს. ჩვენ გულწრფელად ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს“, — ნათქვამია სამძიმრის წერილში.

## ერთსქესიანთა ქორწინება სატანის თაყვანისცემაა!

„ევროპელები გადაშენების პირას არიან, ერთსქესიანი ქორწინება კი შთამომავლობას არ ტოვებს“. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ განაცხადა. მისი თქმით, ის ადამინები, რომლებიც მხარს უჭერენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, უარყოფენ ზნეობრივ საწყისებს და ნებისმიერ ტრადიციულ იდენტობას — ეროვნულს, კულტურულს,რელიგიურს და სამართლებრივსაც კი.

„ჩვენ ვხედავთ, როგორ წავიდა ზოგიერთი ევროატლანტიკური ქვეყანა თავისი ტრადიციების, მათ შორის ქრისტიანული ფასეულობების წინააღმდეგ, რაც დასავლური ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენს. ისინი უარყოფენ ზნეობრივ საწყისებს და ნებისმიერ ტრადიციულ იდენტობას — ეროვნულს, კულტურულს,რელიგიურს და სამართლებრივსაც კი. ეს პოლიტიკა სრულიად ათანაბრებს მრავალშვილიან ოჯახს და ერთსქესიან პარტნიორობას, ღვთის რწმენასა და სატანას თაყვანისცემას“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ uzџ/zџ-ს დასკვნით შეხვედრაზე და ახლაც იმ აზრზე დგას.

## ოჰ, ეს... პრემიები, თუ დანამატები

სამხარეო ადმინისტრაციებში 2012-2015 წლებში 3 მილიონ ლარზე მეტი პრემია და სახელფასო დანამატი გაიცა, — შესაბამის ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ავრცელებს, რომელმაც საქართველოს მუნიციპალიტეტებში გაცემული პრემიისა და სახელფასო დანამატის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის აპრილის ჩათვლით სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებში პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით 3 419 880 ლარი გაიცა, მათ შორის 2 935 693 ლარის ოდენობის პრემია და 484 187 ლარის ოდენობის სახელფასო დანამატი.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელთან შედარებით, 2013-2014 წლებში, გაცემული პრემიების ოდენობა ყველა გუბერნიაში შემცირდა, თუმცა 2014 წელს, იმაზე მეტი თანხა გაიცა, ვიდრე — 2013 წელს.

პრემიასთან ერთად, სახელფასო დანამატი 2012-2013 წლებში გაიცა მხოლოდ იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნიებში, 2014 წლიდან კი სახელფასო დანამატი ყველა გუბერნიაში გაიცემა.

2014 წელს სახელფასო დანამატი მხოლოდ გუბერნატორებს აქვთ მიღებული და როგორც წესი, იგი სახელფასო ანაზღაურების ტოლია. დანამატს გუბერნატორები ყოველთვე იღებენ.

2015 წლიდან სახელფასო დანამატი გუბერნატორთან ერთად სხვა თანამდებობის პირებზეც გაიცემა.

ვინ დაარღვია კანონი?

# „რუსთავი-2“-ის სოციალური რეკლამა თუ პოლიტიკური განცხადება?!

### ახალგაზრდა ადვოკატები არხს უჩივიან

„რუსთავი-2“ ახალ სკანდალში ეხვევა. საქმე ისაა, რომ ყოფილი ხელისუფლების აშკარა და უკვე სუბიექტრობამდე მისული მხარდაჭერა ტელეკომპანიას დღითი დღე სულ უფრო ძვირი უჯდება. იმედია „მეგობრები“ ამ სულისკვეთებას დაუფასებენ, თუნდაც საზოგადოება აფასებდეს ამას, როგორც მიკერძოებულსა და ტენდენციურს. რა ნიშს ეძებს არხი, ეს თავად მისი ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, მაგრამ როგორ შეაფასებს ამ ქმედებას მაყურებელი, ესეც საინტერესოა!..

**„რუსთავი-2“-ის რეკლამა, რომელიც გიგი უგულავას წინასწარი პატიმრობის ვადის გასვლას შეეხებოდა, აღმოჩნდა, რომ ყოველგვარი კანონდარღვევით გადიოდა ეთერში. უგულავას პატიმრობაში დარჩენის შესახებ სამართალდამცველებს თავისებური პასუხი აქვთ, მაგრამ „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობა უკანონოდ გასული რეკლამის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერს ამბობს.**

**ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მხრიდან კანონის სავარაუდო დარღვევის შესწავლის მოთხოვნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ამა წლის 8 მაისს მიმართა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი განმარტავს:** „ბოლო თვეების განმავლობაში „რუსთავი-2“- საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნის 9-თვიანი ვადის გასვლის შესახებ. ეთერში გასული სიუჟეტის მიხედვით, სასამართლოს მხრიდან აღნიშნული ვადის გაგრძელება შეფასებულია, როგორც ხელისუფლების უკანონო მოქმედება, ხოლო გიგი უგულავას საპატიმროში ყოფნა, როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნა. ეს ყველაფერი „რუსთავი-2“-მა მაყურებელს მიაწოდა, როგორც სოციალური რეკლამა“.




„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევენ, რომ ამით ტელეკომპანიამ კანონი დაარღვია, ვინაიდან გავრცელებული ინფორმაცია, თავისი შინაარსით არ წარმოადგენს სოციალური რეკლამის კატეგორიას. მეტიც, სარეკლამო რგოლი შეიცავდა პოლიტიკურ განცხადებებს, მაგრამ შემკვეთი მითითებული არ იყო.

ვინ იქნებოდა შემკვეთი, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, მაგრამ „წესი წესია“ და ვინაიდან, ეს წესი დაირღვა, ალბათ, პასუხისმგებლობაც, წესით(!) ადეკვატური უნდა იყოს...

„სოციალური რეკლამის“ ცნება კანონის მე-12 მუხლშია განმარტებული და მკაფიოდ არის განსაზღვრული მისი სამართლებრივი ხასიათი. კერძოდ, სოციალური არის **„საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისკენ, საქველმოქმედო მიზნის მიღწევისკენ, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერებისკენ ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს სახელმწიფო ან ადგილობრივი იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას“.** სოციალური რეკლამის მნიშვნელობის ამგვარ დეფინიციას გვთავაზობს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის/7 პუნქტიც.

ერთი შეხედვით, ჩანს, რომ „რუსთავი 2“-მა კანონი დაარღვია, — თუმცა, საინტერესო იქნებოდა თავად არხის არგუმენტების მოსმენა და პოზიცია. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ „რუსთავი-2“-ს დაევალა ამ საკითხზე ახსნა-განმარტების მომზადება. ინფორმაცია უნდა წარუდგინოს კომისიას აღნიშნული რგოლის დამკვეთისა და სამაუწყებლო ბადეში განთავსების პირობების შესახებაც. მას შემდეგ, თვეზე მეტი გავიდა, ხოლო „რუსთავი-2“-ის პასუხი ჯერ ისევ უცნობია...

**თეა მოსია**

ლარის გაცვლითი კურსის ვარდნის შედეგი

## თემურ ბასილია: განა არ არის ეს ის თემა, რომლითაც ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს?



**ყოფილი ეკონომიკური მრჩეველი თემურ ბასილია სოციალურ ქსელში წერს:**

„რა გამოიწვია ეროვნული ვალუტის კურსის ასეთმა მკვეთრმა ვარდნამ? მიუხედავად იმისა, რომ დოლარში გამოხატული საგარეო ვალის მოცულობა თითქმის არ შეცვლილა, საქართველოს ბიუჯეტს 2,7 მილიარდი ლარით მეტი თანხის გადახდა მოუწევს საგარეო ვალების დასაფარავად. რატომ?

თუ 2012 წელს საქართველოს საგარეო ვალი 6,6 მილიარდ ლარს შეადგენდა, 2015 წლისთვის ის 9,3 მილიარდ ლარამდე, ანუ 2,7 მილიარდი ლარით გაიზარდა. მართლა გაიზარდა საგარეო ვალი? არა, თითქმის არ გაზრდილა: თუ 2012 წელს დოლარში გამოხატული საგარეო ვალი შეადგენდა 3,997 მილიარდ დოლარს, 2014 წელს კი, 4,027 მლრ დოლარს. ეს ძირითადად ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი ვარდნის „შედეგია“.

განა ეს ის თემა არ არის, რომლითაც ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს და გაარკვიოს, რა იყო ლარის კურსის ასეთი მკვეთრი ვარდნის მიზეზი? ეს იყო მხოლოდ გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგი და გარდაუვალი მოვლენა, ეს იყო გამოწვეული არაკომპეტენტურობით (პირველ რიგში ეროვნული ბანკის) თუ ეს იყო გარკვეული ჯგუფის მიერ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული შეგნებული ქმედება...“ — წერს ბასილია.

საფრთხე

# „ბოლო დღეებში მომხდარი ტერაქტები დასავლეთს



**ჩრდილოეთი კავკასიის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს ახალი ვილაიეთის შექმნის შემდეგ, საქართველო საზღვრებზე კონტროლს მაქსიმალურად ამკაცრებს. ისლამური სახელმწიფოს მოქმედებები საქართველოსგან უყურადღებოდ არ რჩება და როგორც მთელი მსოფლიო, საქართველოც საფრთხედ განიხილავს.**

for.ge-სთან საუბრისას „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის — საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე **ბესიკ ალადაშვილი** აცხადებს, რომ საზღვრების კონტროლი მნიშვნელოვანია, მაგრამ საჭიროა კონკრეტულად სპეცსამსახურების მუშაობის უფრო სრულყოფა, აუცილებელია პრევენცია და გარკვეულწილად პროგნოზირებაც.

რა სახის გართულებას უნდა ელოდოს ქვეყანა და რა შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოს გამოყენება კორიდორად? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge **ბესიკ ალადაშვილს** ესაუბრა.

**— რუსეთის ოთხი რეგიონში - დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში და ყაბარდო-ბალყარეთში ისლამური სახელმწიფოს მიერ ახალი ვილაიეთის შექმნა, არის თუ არა დასტური იმისა, რომ ისლამური ხალიფატი კავკასიაშია?**

— ვერ ვიტყვით, რომ შემოვიდა, მაგრამ საკმაოდ საყურადღებო და საგანგაშო გზავნილია. ბუნებრივია, თვითონ საფრთხე რეალურია, გამომდინარე თუნდაც იმ ტერაქტებიდან, რაც ბოლო პერიოდში ხდება. აქედან გამომდინარე, საკმაოდ ძნელად პროგნოზირებადია როგორ განვითარდება მოვლენები შემდგომ, მაგრამ აშკარაა, რომ მოსალოდნელი საფრთხე საკმაოდ სერიოზულ შეფასებას, ანალიზსა და პრევენციის გარკვეული ღონისძიებების დასახვას მოითხოვს.

**— პრევენციის რა ზომებს უნდა მიმართოს სახელმწიფომ ამ შემთხვევაში? შს მინისტრი ყურადღებას ამახვილებს საზღვრების გაძლიერებაზე...**

— ბუნებრივია, საზღვრების გაძლიერება, გამკაცრება და კონტროლი ეს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ საჭიროა კონკრეტულად სპეცსამსახურების მუშაობის უფრო სრულყოფა, ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემებია. ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია, რომ მომხდარ მოვლენაზე არ უნდა ვაკეთებდეთ რეაგირებას, არამედ პრევენცია უნდა შევძლოთ და გარკვეულწილად, — პროგნოზირებაც. ეს ისეთი სენსიტიური თემაა, რომ რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან ყველაფრის ღიად გაცხადება მართებული არ იქნებოდა.

მთავარია, გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები. სხვათა შორის აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება იმ რეგიონებში, სადაც შესაძლოა, რელიგიურმა ექსტრემიზმმა დასაყრდენი ჰპოვოს. უფრო კომპლექსური ღონისძიებებია საჭირო და ვფიქრობ, რომ ეს ინსტიტუციონალურად საკმაოდ ბევრი კუთხითაც უნდა აისახოს. კერძოდ ის, რომ უკვე, დროა ქვეყანაში შეიქმნას ცალკე სტრუქტურა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

**— ჩვენ ხომ გვაქვს კონტრტერორისტული დეპარტამენტი?**

— ასეთი სტრუქტურა არის, ადრე უშიშროების სამინისტროს შემადგენლობაში იყო, ჯერ ერქვა ანტიტერორისტული ცენტრი და ახლა ჰქვია კონტრტერორისტული დეპარტამენტი, რომელიც შემდეგ უნდა გადავიდეს სუს-ის ახალი სტრუქტურის შემადგენლობაში. იმდენად რეალურია გარე და შიდა საფრთხეები საქართველოსთვის,

№120. ოთხშაბათი, 1 ივლისი, 2015 წელი.

# „მე-8 დაწესებულებამაც ვერ დაწერა, რომ თეთრაძე გულით მოკვდა“



*2011 წლის 19 სექტემბერს პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. დაკავებიდან მე-6 დღეს თეთრაძე გლდანის ციხეში გარდაიცვალა. გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად გულის შეტევა დასახელდა. თუმცა, თეთრაძის მეუღლე პოლკოვნიკის გარდაცვალებაში ყოფილ მაღალჩინოსნებს ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას ადანაშაულებდა.*

*ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება განახლდა. პროკურატურამ პოლკოვნიკის მკვლელობის საქმეში ბრალი თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიას წაუყენა. გამოძიება ახალაიას წამებას, სექსუალური ძალადობის ორგანიზებას და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავება. გამოძიებით დადგენილია, რომ თავდაცვის მინისტრმა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან და გლდანის მე-8 დაწესებულების დირექტორ ალეკო მუხაძესთან ერთად გადაწყვიტა წარმატებული ხელმძღვანელის სახელის მოსაპოვებლად, უდანაშაულო მოქალაქეთა წამების გზით, მიეღო აღიარებითი ჩვენებები, რასაც გაავრცელებდნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, თითქოსდა გამოვლენილი ჰყავდათ ე.წ. ჯაშუშური ქსელი.*

*განახლებული გამოძიების პარალელურად, დამოუკიდებელ ექსპერტთა ცენტრის, „ვექტორის“ კომისიის მიერ თეთრაძის გვამის ექსჰუმაციაც ჩატარდა. როგორც კომისიის თავმჯდომარე, ალეკო გეჯაძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, წარმოდგენილი მასალების მიხედვით გულის იშემიურ დაავადებასა და სტენოკარდიულ პრობლემებს ადგილი არ ჰქონია.*

*რა დასკვნა დადო დამოუკიდებელმა ექსპერტთა კომისიამ და ჰქონდა თუ არა თეთრაძის მიმართ გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს ადგილი? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ალეკო გეჯაძეს ესაუბრა.*

**— პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის სასამართლო პროცესი მწვავე დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. ერთი მხარე ამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს, ბაჩო ახალაიას დაცვის მხარე ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. თქვენმა ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო გვამის ექსჰუმაციაში, ამ დასკვნით თუ გამოიკვეთა, ჰქონდა თუ არა თეთრაძის მიმართ გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს ადგილი?**

— ამ ნაწილში ჩვენი დასკვნა კარდინალურად განსხვავდება სამხარაულის ეროვნული ბიუროს ექსპერტთა კომისიის დასკვნისგან. შესაბამისად, ექსჰუმაციის შედეგად დადებულ დასკვნაში, ექსპერტთა კომისიის დასკვნები გაიყო.

**— კერძოდ რა ნაწილში?**

— ერთ-ერთი მიმართულებაა უკანა ტანის საკითხი. როდესაც გარდაიცვალა სერგო თეთრაძე, მეორე დილას გამოკვლეული იქნა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტის მიერ. გვამის ექსჰუმაციის პროცესში გამოძიებამ წარმოგვიდგინა ყველა მასალა, მათ შორის გვამის პირველადი საექსპერტო გამოკვლევა. ამ დასკვნის დეტალური შესწავლისას, გვამის გარეგან დათვალიერებაში ვერ ვნახეთ ინფორმაცია უკანა ტანთან დაკავშირებით.

გვამის გამოკვლევის დასკვნაში უკანა ტანისა და გარეთა სასქესო ორგანოების თაობაზე რაიმე ჩანაწერი არ მოიპოვება. მნიშვნელობა არა აქვს სიკვდილის სახეობას, უეცარი სიკვდილია, ავტოსაგზაო შემთხვევაა თუ ა.შ. ექსპერტი ვალდებულია, გვამის გარეგანი დათვალიერების გაფორმების დროს, აუცილებლად მიუთითოს გარეთა სასქესო ორგანოების და ამავდროულად, უკანა ტანის მდგომარეობა.

**— რადგან ჩანაწერში არსად არ ფიგურირებს ეს დეტალები, შეიძლება ითქვას, რომ შეგნებულად არ მოხდა ამ ნაწილის გამოკვლევა?**

— გამოძიება პირდაპირ სვამს კითხვას: გთხოვთ, გვიპასუხოთ სიკვდილის მიზეზთან და სხეულზე არსებულ დაზიანებებთან ერთად, ხომ არ აღენიშნება უკანა ტანის არეში გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირისთვის დამახასიათებელი რამე ცვლილებები, ან რაიმე დაზიანებები? ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს უკანა ტანზე, კონცენტრირებულია ამ მიმართებით და შესაბამისად, ამ მიმართებით კვლევის ნაწილში იძლევა ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, დაუსვა თუ არა გამოძიებამ თეთრაძესთან დაკავშირებით ექსპერტიზას შეკითხვა, ექსპერტი ვალდებული იყო, დაეფიქსირებინა, რა მდგომარეობაში იყო უკანა ტანის მიდამო. კიდევ ვიმეორებ, რომ ამ შემთხვევაში ექსპერტს ეს დაფიქსირებული არა აქვს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, შეიძლება გამორჩა, შეიძლება არ გაამახვილა ყურადღება და არ დაწერა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ეს არ არის სწორი ქმედება. ექსპერტი ვალდებულია, დააფიქსიროს ყველაფერი.

**— თავისთავად საინტერესოა, მაშინ რას ეფუძნება ახალიას ადვოკატის განმარტება,თითქოს, 2012 წელს ჩატარებულმა ექსპერტიზამ, ანუ ერთობლივმა კომისიამ დაწერა, თეთრაძეს უკანა ტანზე დაზიანება არ ჰქონდაო?**

— ეს არის სრული აბსურდი. ჩვენს ექსპერტთა კომისიას გვიწერია, რომ გვამის პირველადი გამოკვლევის დროს, რაიმე ინფორმაცია უკანა ტანთან მიმართებაში არ მოიპოვება. რაც შეეხება სამხარაულის ექსპერტთა კომისიას, მათ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ანუ მხედველობაში მაქვს ექსჰუმაციის შემდგომი დასკვნები, დაწერეს, რომ თეთრაძეს უკანა ტანის არეში რამე დაზიანება არ აღენიშნება. ეს არის აბსოლუტურად არამართებული და არაობიექტური მსჯელობა, რომელიც არ ეფუძნება არანაირ საფუძველს.

საიდან წერს კომისია, უკანა ტანზე დაზიანება არ აღენიშნებაო, როცა ექსპერტს პირველადი გამოკვლევის დროს ეს ინფორმაცია მოხსენიებული არა აქვს. გვამის პირველადი გამოკვლევის დროს, უკანა ტანის მიდამოზე რაიმე ინფორმაცია არ არსებობს. ასე რომ, ეს არის არაობიექტური ინფორმაცია, რაც დაიხვია ადვოკატმა ველიჯანაშვილმა. მას საფუძველი მისცა სამხარაულის ექსპერტიზის კომისიამ, რამეთუ თავისი კოლეგის ტყავი არ დახია. ექსპერტი, რომელიც მონაწილეობდა გვამის გაკვეთაში, ახლაც იქ მუშაობს.

**— რაც შეეხება ცხვირის ძვლის მოტეხილობას, ამ ნაწილშიც ადვოკატი ველიჯანაშვილი აცხადებს, რომ ეს დაზიანება შეიძლება მიღებული იყოს გადასვენების პროცესში.**

**ბატონო ალეკო, შესაძლებელია ამ სახის დაზიანება გადასვენების პირობებში მიღებულიყო?**

— ესეც სისულელეა. ბუნებრივია, ნათელია ადვოკატის პოზიცია, ყველაფერს ეპოტინება, რომ თავისი დაცვის ქვეშ მყოფი გაამართლოს. მინდა, გითხრათ, რომ პირველად დასკვნაში ექსპერტს არც ცხვირის ძვლების მოტეხილობა უწერია. მაშინ, როდესაც, თეთრაძეს ცხვირის მიდამოში აღენიშნებოდა დაზიანებები სისხლნაჟღენთების სახით, მათ შორის ორივე თვალის მიდამოში. ამ დროს კი, ექსპერტს უწერია მარტო ზერელე ჭრილობა წარბის მიდამოში. გამოძიებამ წარმოგვიდგინა თეთრაძის ფოტოსურათები, სადაც აშკარად ჩანს სახის არეში არსებული დაზიანებები, ანუ სისხლნაჟღენთები. ეს არის ბლაგვი ტრამვის შედეგად განვითარებული დაზიანება.

მინდა, გითხრათ, რომ თეთრაძის სხეულზე არსებული დაზიანებების გარეგანი დათვალიერების აქტები და ოქმები შედგენილია 19 სექტემბერს, როგორც მე-8 დაწესებულებაში, ასევე მაშინ, როდესაც თეთრაძე იმყოფებოდა წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც წერია, რომ თეთრაძეს სახეზე აღენიშნება სისხლნაჟღენთები და ჭრილობა. უფრო ადრე 18 სექტემბერს ამას ადასტურებს თავდაცვის სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორი. აქედან გამომდინარე, ცალსახა და ეჭვგარეშეა, რომ ცხვირის ძვლის მოტეხილობა სიცოცხლის დროინდელი დაზიანებაა. ვერანაირად ამ დაზიანებას ვერ მიიღებდა სიკვდილის შემდგომ.

**— კიდევ ერთი დეტალი, რასაც ადვოკატი სიკვდილის მიზეზად ასახელებს, ეს არის გულის იშემიური დაავადება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს გულის იშემიურ დაავადებას თეთრაძის გარდაცვალებასთან?**

— ბუნებრივია, ასაკოვანი კაცი იყო და შეიძლება ჰქონოდა გარკვეული პრობლემები, მაგრამ ჩვენ გამოვითხოვეთ სამედიცინო დაწესებულებიდან ამბულატორიული ბარათი. ამ მონაცემებით არანაირი რისკფაქტორის შემცველი ინფორმაცია თეთრაძესთან მიმართებაში, რასაც შეეძლო გამოეწვია უეცარი სწრაფი სიკვდილი, არ მოიპოვება. არის ბანალური დიაგნოზი არტერიული ჰიპერტენზია, რომელიც ყოველ მეორე ადამიანს აქვს. ბუნებრივია, ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ცხვირის ძვლების მოტეხილობის შედეგად მიიღო ქალა-ტვინის ტრავმა და ამ მიმართულებით ყოფილიყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კრიტიკული დამძიმება განპირობებული.

მაგრამ, ამავდროულად, არც იმას გამოვრიცხავ, რომ გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის, თუნდაც, იმიტაციურ პროცესში, ამხელა სტრესისა და შეურაცხყოფის ფონზე განვითარებოდა გულის მწვავე უკმარისობა და ამის გამო დამდგარიყო ეს შედეგი. მე-8 დაწესებულების რეანიმაციულ განყოფილებაში თეთრაძის შესვლიდან 30 წუთში დგება სიკვდილი. ნახევარი საათი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა, ამ დროს კი, ექიმებმა დიაგნოზში ჩაწერეს არა გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, ანუ ინფარქტი, არამედ უცნობი ეპიოლოგიის კომა, ანუ კომამ მოკლაო. თვითონ მე-8 დაწესებულებამაც ვერ დაწერა, რომ თეთრაძე გულით მოკვდა.

**მართა ლაბაძე**

---

**საფრთხე**

# რუსეთთან თანამშრომლობას აიძულებს“

რომ აუცილებელია კონტრტერორისტული ღონისძიებების ერთი ცენტრიდან კოორდინაცია.

**— გამომდინარე იქედან, რომ ისლამისტები აქტიურდებიან ჩრდილოეთი კავკასიის ტეროტორაზე, ეს ქმნის იმის საფუძველს, რომ უსაფრთხოების კუთხით საქართველო შესაძლოა, ძალიან რთული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდეს? მით უმეტეს, რომ არსებობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა, რომ საქართველო ისევ რჩება ტერორისტების ტრანზიტულ ქვეყნად...**

— სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებები ეფუძნება საკმაოდ დიდ და სანდო წყაროებს. აუცილებელია, მოხდეს პოლიტიკური საფრთხეების სერიოზული ანალიზი — რამდენად არის იგივე ისლამური სახელმწიფოს, ან სხვა რომელიმე რელიგიური დაჯგუფების ყურადღების ცენტრში საქართველო. ანუ, ეს არის როგორც შეტევის ობიექტი, თუ ეს არის როგორც ტრანზიტული გზა და ა.შ. ძალიან რთულ გადაკვეთაზე ვართ, ამ ყველაფრის გაანალიზება უნდა მოხდეს შესაბამისი ინფორმაციით.

რაც შეეხება მოსალოდნელ საფრთხეებს, ჩვენ რომ ვიყოთ ევროპის შუა გულში, საფრთხეები ალბათ, ნაკლები იქნება. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცის გამოყენება ბევრჯერ უცდია სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებულ ქვეყნებს და სამწუხაროდ, საქართველო გამხდარა მათი ინტერესების შეჯახების ეპიცენტრი. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ისლამური სახელმწიფოს ეს განცხადება დიდი გეოპოლიტიკური თამაშის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყოს უკვე, ან მომავალში.

**— ამ თვალსაზრისით, რა სახის გართულებას უნდა ელოდოს ქვეყანა, რა შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ საქართველო გამოყენებული იქნეს კორიდორად?**

— ისლამური სახელმწიფოსგან განცხადება, რომ ჩრდილოეთი კავკასიის ტერიტორიაზე მათ პროვინცია შექმნეს, ეს უნდა ჩაითვალოს რაღაცა პირველ ეტაპად, ანუ ეს არის სამხედრო-პოლიტიკური წარმონაქმნის დასაწყისი. თუ რუსეთის სამხრეთით, ანუ ჩვენი ჩრდილოეთით ისლამურმა სახელმწიფომ დაიწყო აქტიური ტერორისტული ან სამხედრო მოქმედებები, ამ შემთხვევაში, ერთადერთი რეალურ და ალბათ, აპრობირებულ სატრანზიტო წყაროდ საქართველო რჩებათ. თუ ისინი მართლა გააქტიურდებიან და გადავლენ აქტიურ მოქმედებებზე, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სამწუხაროდ, საქართველოც იქნება ჩათრებული ამ არასასიამოვნო დაპირისპირებაში.

**— ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე საკუთარი ვილაიეთის შექმნით მათ იპოვეს დასაყდენი, მაგრამ რამდენად უშვებთ, რომ ასეთი დასაყდენი საქართველოშიც ჰქონდეთ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოქალაქეები იბრძვიან ისლამური სახელმწიფოს რიგებში...**

— არ არის გამორიცხული. სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ ჩვენ აბსოლუტურად დაცული ვართ ამ კუთხით. როგორც გითხარით, დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსურ მხარეს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისლამური სახელმწიფოს ეს განცხადება მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. გამორიცხული არ არის, რომ რუსეთის დიპლომატიამ და ხელისუფლებამ ეს განცხადებები თავის სასარგებლოდ გამოიყენოს დასავლეთთან სავაჭროდ, იგივე უკრაინის თემასთან დაკავშირებით.

ბოლო დღეებში მომხდარი ტერაქტები დასავლეთს აიძულებს, რომ ითანამშრომლონ რუსეთთან. არის რამდენიმე პროექტი, რა კუთხითაც დასავლეთი და რუსეთი თანამშრომლობას აძლიერებენ, ეს არის — ატომური შეიარაღება, კოსმოსი და ტერორისტებთან ბრძოლა, რაზეც ორივე მხარე თანამშრომლობას აგრძელებს. ჩემი აზრით, რუსეთი შეეცდება, ეს ხიფათი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

**თამთა ქარჩავა**

თავს იკავებენ

# რატომ არ სურთ ფერმერებს მოსავლის სტიქიისგან დაზღვევა?

**2014 წლის 1 სექტემბრიდან ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომლის თანადაფინანსებაც სახელმწიფომ იტვირთა. აგრორისკების სუბსიდირება 70-დან 90%-ს, ზოგ შემთხვევაში კი — 95%-საც აღწევდა. თავიდანვე ითქვა, რომ დაზღვევა ისეთ სტიქიურ მოვლენებს შეეხება, როგორიცაა სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. ერთწლიანი საპილოტე პროგრამის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით განისაზღვრა და მას მსხვილი სადაზღვევო კომპანიები — „ალდაგი", „აისი ჯგუფი" და „ჯიპიაი ჰოლდინგი" შეუერთდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამით არაერთმა გლეხმა და ფერმერმა ისარგებლა, დაზღვევის მიმართ უნდობლობა მაინც შეინიშნება. bpn.ge დაინტერესდა, რას ფიქრობენ საქართველოში მცხოვრები ფერმერები ამ პროგრამაზე და რამდენიმე მათგანს გაესაუბრა.**

ფერმერ **ნინა პეტროვა-ძნელაძეს** მოსავალი არ დაუზღვევია. 13 ივნისს მომხდარი წყალდიდობის შედეგად სერიო-



ზული ზარალი ნახა, მაგრამ მიაჩნია, რომ საქართველოში ფერმერი დაზღვევის იმედად ვერ იქნება. **„ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სათბურები გვაქვს. ძალიან დავზარალდით. ქარიშხალმა სათბურებს სახურავი გადახადა, მოსავალი კი, მთლიანად დაიტბორა. ჩვენს სათბურებში ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტები მოგვყავს და არანაირ შხამქიმიკატს არ ვიყენებთ, ამიტომ მოსავალს მწერებიც გვიზიანებს. არ ვიცი, საკუთარი ძალებით თუ მოვახერხებთ ყველაფრის აღდგენას, ჯერჯერობით კი, ძალიან გვიჭირს. წალეკილი სათბურები თუ არ აღვადგინეთ, მოსავალს ვერ მოვიყვანთ. ზოგიერთს უკანასკნელი სახსრებით გაკეთებული სათბური დაეტბორა, თანაც 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ მორალური უფლებაც არ გვაქვს და ვერ ვთხოვთ მთავრობას, რომ დაგვეხმაროს",** — ამბობს ნინა პეტროვა-ძნელაძე.

დაზღვევის თანხა არ აუღია ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთის მკვიდრ **რეზო ჭეიშვილსაც,** მაგრამ ამას საკუთარ თავს აბრალებს:

— ჩვენ ორი კულტურა დავაზღვიეთ — თხილი და ციტრუსი. ნოემბერში ჩვენი რაიონის ზოგიერთი სოფელი დაისეტყვა. ციტრუსის გამო ჩვენი სოფლის მოსახლეობაც დაზარალდა. ციტრუსის მოსავლის დაახლოებით 20% განადგურდა. ნაწილმა კომპენსაცია მიიღო, ნაწილმა კი — არც იცოდა სად და ვისთან მისულიყო, ან ვისთვის მიემართა. ჩემმა მეზობლებმა რა ზიანიც მიიღეს, აუნაზღაურეს, მე კი, საკუთარ თავს ვადანაშაულებ, რომ არ ვიაქტიურე. ბათუმში გვჭირდებოდა ჩასვლა და განცხადების შეტანა, თანაც, დროც შეზღუდული იყო და კომპენსაციის გარეშე დავრჩი. თუ ჩემს გვერდით მეზობელმა 300 ლარი მიიღო, მე რატომ არ მომცემდნენ? როგორც ჩანს, უნდა იბრძოლო, რომ სადაზღვევო კომპანიამ ზარალი აგინაზღაუროს. არავინ გეტყვის — მობრძანდი და თანხა წაიღეო.

აგროდაზღვევაში არც კოოპერატივ „რანჩოს" ხელმძღვანელი **ამირან ხახიშვილი** მონაწილეობს, რადგან ეს პროგრამა გვალვისაგან მიყენებული ზარალის დაზღვევას არ ითვალისწინებს. **„თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მოხისში, მანგლისთან ახლოს ფერმა მაქვს. შარშან ჩვენც ძალიან დაგვაზარალა გვალვებმა, მაგრამ სამწუხაროდ, გვალვაზე დაზღვევა არ არის. პროგრამაში არის პუნქტები, სადაც წერია, რას აზღვევენ და რას — არა. ჩვენ მეცხოველეობას ვეწევით და ძირითად ზარალს გვალვა გვაყენებს. ქარიშხალი და წვიმა ნაკლებად გვაწუხებს, ამიტომ, პროგრამაში მონაწილეობას არ ვიღებთ"**, — განაცხადა ამირან ხახიშვილმა.

რატომ არიდებენ თავს ჩვენი ფერმერები საკუთარი მოსავლის დაზღვევას? — ამ შეკითხვაზე ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნინო ზამბახიძემ** გვითხრა:

**— შარშან 3 500-ზე მეტი ბენეფიციარი დააზღვიეს, თანაც, დაზღვევის პორტფოლიოში სახელმწიფო სუბსიდირების პროცენტული წილი უფრო მაღალი იყო, ვიდრე წელს. ბენეფიციარებს 1 მილიონ 800 ათასი ლარი აუნაზღაურდათ. ვისაც აუნაზღაურდა, რა თქმა უნდა, კმაყოფილია, მაგრამ ფერმერები აგროდაზღვევას თავს ერთი მიზეზის გამო არიდებენ: თანხა, რომელიც უნდა გადაიხადონ, მათთვის საკმაოდ მაღალია. როცა ეკითხები, იქნებ სეტყვა მოვიდეს და მთელი მოსავალი გაგინადგუროსო, გპასუხობენ — იქნებ, გამიმართლოსო... როგორც იტყვიან, ბედის ანაბარა რჩებიან.**

ნინო ზამბახიძის შეფასებით, ფერმერების პასიურობა კიდევ რამდენიმე მიზეზით არის გამოწვეული:

**— ბევრს აბრკოლებს ის, რომ მოსავლის 10 პროცენტზე მეტი თუ დაზიანდა, ზარალს მხოლოდ მაშინ აგინაზღაურებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - არა. კიდევ ერთი მიზეზი: ამ პროგრამით ძირითადად ერთწლიან კულტურებს აზღვევენ, საქართველოში კი, მეცხოველეობა ძალიან განვითარებულია და ფერმერების უმეტესობას მრავალწლიანი კულტურები მოჰყავს, თანაც, პირუტყვის სუბსიდირებას მთავრობა არ ახდენს. ამიტომ, გლეხი ფიქრობს: მე ეს კულტურები მომყავს იმიტომ, რომ პირუტყვს ვაჭამო და თუ პირუტყვს არ დამიზღვევ, მარტო მოსავალი რად მინდაო? ასევე არ აზღვევენ გვალვის შედეგად მიყენებულ ზარალსაც, ამიტომ კახეთის რეგიონში პროგრამაში მონაწილეობაზე ბევრმა თქვა უარი. ასე რომ, დაზღვევის ეს სისტემა არც ისე მოქნილია: რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, იმას არ გვიზღვევენ.**

ნინო ზამბახიძის აზრით, ძალზე დიდი დაბრკოლებაა ინფორმაციის არარსებობაც: **„ბევრი ფერმერი ვერც აცნობიერებს რამდენად კარგია მათთვის მოსავლის დაზღვევა. ეს საპილოტე პროგრამა იყო, რომლის კორექტირებას თავიდანვე აპირებდნენ. ამ დღეებში გვექნება შეკრება, სადაც განვიხილავთ მასში არსებულ ხარვეზებს. იმედია, რომ კორექტირების შემდეგ აგროდაზღვევის პროგრამა უფრო მოქნილი გახდება და თან, ფერმერის საჭიროებაზე იქნება მორგებული".**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ინტერპრესი

## დაზარალებულ რეგიონებს ეხმარებიან



**მთავრობის** განკარგულებით, 2014-2015 წლების სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, რეგიონებისთვის 15 400 000 ლარი გამოიყოფა. ამის შესახებ ნათქვამია მთავრობის განკარგულებაში , რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს ხელს.

განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს — 2 600 000 ლარი გამოეყოფა; მესტიის მუნიციპალიტეტს —1 570 000 ლარი; ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს — 1 500 000 ლარი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტს — 1 450 000 ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტს — 1 400 000 ლარი; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს — 950 000 ლარი; ხობის მუნიციპალიტეტს — 900 000 ლარი; ხონის მუნიციპალიტეტს — 600 000 ლარი; ცაგერის მუნიციპალიტეტს — 550 000 ლარი; მარტვილის მუნიციპალიტეტს — 500 000 ლარი; წალენჯიხის მუნიციპალიტეტს — 500 000 ლარი; ბორჯომის მუნიციპალიტეტს — 500 000 ლარი; ლენტეხის მუნიციპალიტეტს — 480 000 ლარი; ვანის მუნიციპალიტეტს — 450 000 ლარი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს — 450 000 ლარი; დუშეთის მუნიციპალიტეტს — 400 000 ლარი; საჩხერის მუნიციპალიტეტს — 300 000 ლარი; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს — 200 000 ლარი; სენაკის მუნიციპალიტეტს — 100 000 ლარი.

განკარგულების მიხედვით, „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცეთ უფლება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები განახორციელონ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით".

## იქნებ თბილისი წალკოტს დავამსგავსოთ!

**თბილისში,** კუს ტბის ფერდობსა და მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გამხმარი ხეების რაოდენობა ამ დრომდე არ შემცირებულა. დაავადებული და გამხმარი ხეების ოდენობა მთაწმინდის პარკისკენ მიმავალ გზაზე თითქმის უტოლდება ჯანსაღი ხეების რაოდენობას. ანალოგიური ვითარებაა კუს ტბის მიმდებარე ფერდობზეც.

როგორც თბილისის მერიის ეკოლოგიისა და საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ბიძინა გიორგობიანმა განაცხადა, თბილისის მასშტაბით გამხმარი ხეების ახალი ხემცენარეებით ჩანაცვლების ტენდერი უკვე დასრულდა და უახლოეს მომავალში დაიწყება გამხმარი ხეების მოსანიშნი სამუშაოები.

გიორგობიანის თქმით, პირველ ეტაპზე 5 500 გამხმარი ხე მოინიშნება, რის შემდეგაც ისინი მოიჭრება. ერთი ხის მონიშვნა ტენდერის მიხედვით 3 ლარი დაჯდება. რაც შეეხება ხეების მოჭრასა და მათ გატანას, გიორგობიანი ამბობს, რომ ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

შემოდგომით დაიწყება უკვე ჩანაცვლებითი სამუშაოები ისეთი სახეობის ხეებით, რომელიც უკეთ ეგუებიან თბილისის კლიმატს. ტერიტორიულად ეს იქნება წყნეთის გზა, ასევე დაბა წყნეთი, კუს ტბის მიმდებარე ფერდობი, მთაწმინდის პარკი და თუ რაოდენობრივად შევძელით გვსურს, რომ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზეც დავიწყოთ სამუშაოები, — განაცხადა ბიძინა გიორგობიანმა.

## შეიცვლება თუ არა თბოელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი

**„საქართველოს** საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის", შპს „მტკვარი ენერგეტიკისთვის" და შპს „ჯიფაუერისთვის" ტარიფის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 7 ივლისის სხდომაზე მიიღებს.

როგორც სემეკში აცხადებენ, კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად 150-დღიანი ვადა აქვს, თბოელექტროსადგურების შემთხვევაში ბოლო ვადა სექტემბრის დასაწყისი იყო, თუმცა დეპარტამენტმა ამ საკითხებზე მუშაობა დროზე ადრე დაასრულა და პროექტს 7 ივლისს წარმოადგენს.

თბოელექტროსადგურებმა ტარიფის გადახედვის თხოვნით სემეკს მას შემდეგ მიმართეს, რაც ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მკვეთრად დაეცა.

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, ლარის გაუფასურებამ ენერგეტიკულ კომპანიებს დიდი დარტყმა მიაყენა. პრობლემები შეიქმნა, განსაკუთრებით, ეს ეხება თბოელექტროსადგურებს, რადგან ისინი ძირითადად ბუნებრივ აირზე მუშაობენ, რომელიც აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემოდის, შესაბამისად, ანგარიშსწორება ხდება დოლარში, მოსახლეობის მხრიდან კი ანაზღაურება ლარით ხორციელდება.

## საავტომობილო გზის დარიალის ხეობის მონაკვეთზე მოძრაობა აკრძალულია




**მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის** საავტომობილო გზის კმ134-კმ135 (დარიალის ხეობა) მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, მოძრაობის ახალი რეჟიმი გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის საფუძველზე შემოიღეს.

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მყინვარ დევდორაკის ენის მახლობლად მეტეოსაგუშაგოდან უწყვეტი მონიტორინგის საფუძველზე, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ134-კმ135 (დარიალის ხეობა) მონაკვეთზე, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება საღამოს 20:30 საათიდან დილის 06:00 საათამდე. ხოლო დღის დანარჩენ პერიოდში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია გაუჩერებლად გავლის რეჟიმში.

აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით. გზის დანარჩენ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია", — აცხადებენ გზების დეპარტამენტში.

ჩვენი უმრწემესი ძმები

# რომელ ცხოველთ უწერიათ გადაშენება?..

*ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ დედამიწაზე ცხოველების გადაშენების რიგით მეექვსე მასობრივი ეტაპი დაიწყო. ბიოლოგიის დარგში დემოგრაფიული კვლევის პროფესორის პოლ ერიხის თქმით ცხოველთა სახეობების უმეტესობა, წინა საუკუნეებთან შედარებით, 100-ჯერ სწრაფად ნადგურდება.*

*ხერხემლიან ცხოველებზე დაკვირვებისას მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფაუნის განადგურებაში დიდი წვლილი ადამიანს მიუძღვის. კაცობრიობა არღვევს იმ ბუნებრივ ბალანსს, სადაც ცხოველები სიცოცხლისუნარიანნი არიან. სხვა სახეობებთან შედარებით, ხერხემლიანი ცხოველების გადაშენების ტემპი ბევრად სწრაფია.*

*ბუნების დაცვის ორგანიზაციების განცხადებით, 1500 წლიდან დარეგისტრირებული 338 სახეობის ხერხემლიანი ცხოველიდან არც ერთი არ არსებობს. კიდევ 279 სახეობის ცხოველი ან ველურ ბუნებას შეერია, ან გადაშენდა.*

*საბოლოო დასკვნის შედეგად, 617 ხერხემლიანი ცხოველი, მათ შორის 69 ძუძუმწოვარი, 80 სახეობის ფრინველი, 24 სახეობის რეპტილია, 146 ამფიბია და 158 თევზის სახეობა აღარ არსებობს. მათი უმეტესობა 115 წლის განმავლობაში, ანუ 1900 წლიდან გადაშენდა.*

*თუმცა, ადამიანებს კიდევ აქვთ დრო, გადაშენების მასშტაბები შეამცირონ და „წითელ წიგნში" შეყვანილი ცხოველები დაიცვან.*

*ბიომრავალფეროვნების მხრივ კავკასია და, კერძოდ, საქართველო ერთ-ერთ უნიკალურ რეგიონად ითვლება. კავკასიაში მობინადრე როჭო, აფთარი, დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, მურა დათვი, ფოცხვერი, არჩვი, ნიამორი, ჯიქი და სხვა არაერთი სახეობა წითელ ნუსხაშია შეტანილი.*

*2011 წელს For.ge წერდა, რომ ნაციონალური ხელისუფლება მართლაც „რევოლუციურ" და ჯერ „არგაგონილ" კანონპროექტს ამზადებდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ჩამოსულ შეძლებულ ტურისტებსა და ბობოლა მონადირეებს, წინასწარი აღრიცხვისა და ყოველგვარი კვოტირების გარეშე, შეეძლოთ, წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე ენადირათ. სამაგიეროდ, ამით ჩვენი ბიუჯეტი შეივსებოდა, მომავალ თაობას კი არ ეცოდინებოდა კავკასიური ჯიხვის შესახებ, ისევე, როგორც ჩვენმა თაობამ უკვე არ იცის, როგორ გამოიყურებოდა საქართველოში მობინადრე და 60-იან წლებში გადაშენებული ჯეირანი. მოგვიანებით, ნაციონალებმა ეს მავნებლური იდეა უარყვეს, თუმცა „წითელ წიგნში" შესული ენდემური სახეობების შენარჩუნება დღესაც პრობლემატურია.*

კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტის კოორდინატორი **რეზო გეთიაშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მთელ მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილია (ცენტრალური აფრიკა, ამაზონი და სხვა) და ამ განსაკუთრებულ ზონებს შორისაა კავკასია და საქართველო. ეს ნიშნავს, რომ კავკასიაში განსაკუთრებით დიდია ბიომრავალფეროვნება და, ამასთან ერთად, დიდია ის საფრთხეები, რაც ამ ბიომრავალფეროვნებას ემუქრება. მარტო ლაგოდეხის ნაკრძალში თავმოყრილია ევროპაში გავრცელებული მცენარეების 80%.



ბიომრავალფეროვნებით ასევე, მდიდარია აჭარის რეგიონი. გარდა ამისა, საქართველო მდებარეობს მიგრირებადი, გადამფრენი ფრინველების ტრასების გადაკვეთაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ორი ტრასა, ერთი ევროპიდან ინდოეთში მიმავალი და მეორე - აღმოსავლეთ ციმბირიდან აფრიკისკენ გადამფრენი ფრინველებისთვის. ამ ფრინველებს დღითი დღე უმცირდებათ ტერიტორიები, რომლებსაც იყენებენ შესაჩერებლად. საუბარია რამსარის კონვენციით დაცულ ჭარბტენიან ტერიტორიებზე საქართველოში. ერთი პერიოდი, საუბარი იყო ამ ჭარბტენიანი ტერიტორიების მასშტაბურ ათვისებაზეც და იქ ქალაქების აშენებაზე, რაც პრობლემური იქნებოდა. ამ მხრივ ყულევის ტერმინალმაც თავისი როლი ითამაშა. ანაკლიის ტერიტორია კი მეტ-ნაკლებად უკვე ათვისებულია და ანთროპოგენური ზეწოლა მასზე იმდენად დიდია, რომ აღარ არის შენარჩუნებული პირველადი ეკოსისტემა.

**„მომავალი თაობებისთვის სერიოზულ საფრთხედ რჩება ნადირობა. გარკვეულ შემთხვევაში, ნადირობას შეიძლება ჰქონდეს გამართლება. მაგალითად, საქართველოში შეიქმნა სამონადირეო მეურნეობები, რის გამოც უკონტროლო ნადირობა შეიზღუდა და იქ ბიომრავალფეროვნების სახეობათა რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ, მთლიანობაში, მომავალი თაობა უნდა მიხვდეს, რომ ბუნების სიყვარული არ არის თოფის სროლა და, ვინც გიყვარს, მას თოფი არ უნდა ესროლო. არ უნდა ითვლებოდეს, რომ მონადირე არის ბუნების მოამაგე და ბუნების მოსიყვარულე ადამიანი. შეიძლება, სადღაც ნადირობა ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა იყოს, მაგრამ საქართველოში, ალბათ, ასე ვერ იქნება.**

**ბიომრავალფეროვნების დაცვის მხრივ ჩვენთან რთული მდგომარეობაა. აზერბაიჯანსა და მეზობელ სხვა სახელმწიფოებშიც გაცილებით უკეთესი ვითარებაა. ჩვენ მტრულად ვექცევით ჩვენს გარემოს, მაგალითად, გასულ წელს გარე კახეთის ერთ-ერთ სოფელში, ვენახებში გამრავლდა ხოხობი. სოფლის მაცხოვრებელთა გარკვეული ჯგუფი ცდილობდა ამ ხოხბების შენარჩუნებას, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ სოფელმა მოაწყო სპეცოპერაცია და, სანამ ბოლო ხოხობი არ მოკლეს, არ გაჩერდნენ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ერთმა ადამიანმა ექვსი ხოხობი ერთად მოკლა, მეორემ — სამი ერთად მოკლა. ისინი ვერც მიხვდნენ, რა გააკეთეს. ეს არა მარტო ბუნების, არამედ სოფლის ღალატიც იყო, რადგან ამ სოფელს ამით გამორჩეულობა წაართვეს. თორემ, სხვა მხრივ ისინი ცუდი ადამიანები არ არიან. ასე რომ, აქ ცნობიერების პრობლემაა, რატომღაც მათ მიაჩნიათ, რომ ბუნების განადგურება ბუნების სიყვარულია.**

**მომავალი თაობა სხვა მსოფლმხედველობით უნდა გაიზარდოს, თორემ ამ ასაკის ადამიანებს ბუნების სიყვარულს, ალბათ, უკვე ველარ ჩავუნერგავთ და ხვალ მართლა აღარ გვექნება არჩევანი, მოვკლათ თუ არა ხოხობი, რადგან მოსაკლავი ხოხობი აღარ იქნება",** — აღნიშნა რეზო გეთიაშვილმა.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესის" წარმომადგენელი **კახა არცივაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დედამიწაზე ცხოველთა მასობრივი გადაშენების გამო სტანფორდის უნივერსიტეტმაც გამოხატა შეშფოთება და ეს საყოველთაო პრობლემაა. სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, ბიომრავალფეროვნების შემცირებას იწვევს ადამიანის მიერ ცხოველების საარსებო ჰაბიტატის განადგურება, დესტრუქცია, ინტენსიური მოპოვება, უკონტროლო ნადირობა, თევზაობა, შეგროვება, გარემოს დაბინძურება, კლიმატის ცვლილება.

ამ მხრივ ხერხემლიანი ცხოველი ყველაზე უფრო მოწყვლადი კატეგორიაა, რადგან ეს ცხოველი წარმოადგენს ადამიანის სანადირო ობიექტს, ამასთან, მსხვილ ძუძუმწოვრებს გამრავლების ნელი ტემპი ახასიათებთ.

**„ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში მაინცდამაინც 100-ჯერ არის შემცირებული ცხოველთა სახეობები, მაგრამ ბიომრავალფეროვნების კლება საგანგაშოა კავკასიისთვის. „წითელ წიგნში" მოხვედრილი სახეობები გადაშენების საფრთხის წინაშეა. ამ პროცესის შესაჩერებლად მზა რეცეპტი არ არსებობს, ეს რთული პროცესია და ყველა სახეობის აღდგენას და ჰაბიტატის დაცვას შესაბამისი მოქმედება, მეცნიერული მიდგომა სჭირდება. ერთი სახეობის შემთხვევაში, შეიძლება, სხვა ტიპის ქმედება იყოს საჭირო, მეორე სახეობის შემთხვევაში — სრულიად სხვა მიდგომა. შესაძლოა, კეთილშობილი ირმის გადასარჩენად საჭირო იყოს ნადირობის შემცირება, ხოლო სხვა სახეობის გადასარჩენად ახალი დაცული ტერიტორიის შექმნა, ეროვნული პარკის ჩამოყალიბება და სხვა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენება, ანუ ადამიანმა ბუნებრივი რესურსები რაციონალურად უნდა გამოიყენოს",** — აღნიშნა კახა არცივაძემ.

**მანანა ნოზაძე**



# ისით თუ არა, რომ...

● ერეკლე მეორე თელავში, თავის სასახლეში იმ ოთახში გარდაიცვალა, სადაც დაიბადა.

● ერეკლე მეორემ ლაშქრობაში მონაწილეობა პირველად 12 წლის ასაკში მიიღო.

● ვაჟა-ფშაველას ენას უწუნებდა აკაკი წერეთელი, ხოლო აკაკის — ანჩისხატის მთავარეპისკოპოსი.

● აკაკი წერეთელმა ლექსი „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო" დიმიტრი ყიფიანს მიუძღვნა.

● სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონზე „სიტყვის კონა" 33 წლის განმავლობაში მუშაობდა.

● დავით აღმაშენებელი წიგნის კითხვის დასრულებისას ბოლოში ნიშანს სვამდა. აღმოჩნდა, რომ ერთი წიგნი ერთ წელიწადში ოცდაოთხჯერ ჰქონდა წაკითხული.

● დავით აღმაშენებელი ერთხელ ლაშქრობის დროს წიგნის კითხვით ისე გაერთო, რომ ჯარს ბრძოლის დაწყების ნიშანი ველარ მისცა.

● ფარნავაზი 27 წლისა გამეფდა და 65 წელი იმეფა.

● გრიგოლ ხანძთელმა 102 წელი იცოცხლა.

● გიორგი პირველი 12 წლის ასაკში მართავდა საქართველოს.

● ვახტანგ გორგასალი ცხენს მხრებზე გადაიდებდა და ისე ადიოდა მცხეთიდან არმაზის ციხემდე.

● გალაკტიონი ნიკო სამადაშვილს საქართველოს დიდ პოეტს უწოდებდა.

● იტალიის სახალხო გმირი ჯუზეპე გარიბალდი ფეხის ამპუტაციას გადაარჩინა და განკურნა საქართველოდან იტალიაში საგანგებოდ მიწვეულმა მკურნალმა თურმანიძემ.

● 1812 წელს, კახეთის აჯანყების დროს დაჭრილი პოეტის ალ. ჭავჭავაძის სამკურნალოდ ქუთაისიდან მკურნალი თურმანიძე მოიწვიეს.

● ბულგარეთის ტახტიდან ბატენბერგის ჩამოგდების შემდეგ (1886, 21 აგვისტო) რუსეთის მთავრობამ ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟი — სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი ნიკო დადიანი ბულგარეთის მთავრის კანდიდატად წარადგინა.

● ცნობილი ქართველი დრამატურგი და თეატრის მოღვაწე გიორგი ერისთავი პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის" დამაარსებელი და რედაქტორია (1852-53). გიორგი ერისთავმა ასევე ერთ-ერთმა პირველმა დაუდო სათავე ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დააარსა ქართული პროფესიული თეატრი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა 1850-54 წლებში.

● მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი კომედიური ჟანრის ფუძემდებელია ქართულ დრამატურგიაში. ამასთან, მას თეატრის სცენაზე განსახიერებული აქვს 200-ზე მეტი როლი.

● ქართველმა ფიზიოლოგმა ივანე თარხნიშვილმა სხვადასხვა გაღიზიანების საპასუხოდ და ფსიქოლოგიური მოქმედების დროს ადამიანის კანში ელექტრომამოძრავებელი ძალები აღმოაჩინა. კანში აღმოცენებულ ამ ნელ ელექტრულ ეფექტებს მსოფლიო ლიტერატურაში „თარხანოვის ფენომენად" იხსენიებენ.

● ცნობილი მწერალი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეზო თაბუკაშვილი ნაყოფიერი დრამატურგიული შემოქმედების გარდა მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა: მან თარგმნა შექსპირის სონეტები, რომლებიც კრებულების სახით ორჯერ გამოიცა ჯერ 1968, ხოლო შემდგომ 1979 წელს.

● მეცნიერმა სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის დარგში კირიაკ ზავრიევმა საფუძველი ჩაუყარა მრღვევი დატვირთვების მიხედვით ნაგებობათა გაანგარიშების მეთოდსა და სეისმომედეგობის დინამიკის თეორიას; მან პირველმა დაასაბუთა სეისმომედეგი ქვის ნაგებობათა მშენებლობის შესაძლებლობა და დაამუშავა შენობათა ანტისეისმური სარტყლები.

● მეათე საუკუნის სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწის თორნიკე ერისთავის შეკვეთითაა გადაწერილი ოშკის ბიბლია.

● რაფიელ ერისთავს მიიჩნევენ ვოდევილის ჟანრის დამამკვიდრებლად ქართულ დრამატურგიაში.



● ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი 1889-96წწ. კავკასიის საცენზურო კომიტეტში ცენზორად მუშაობდა. მისმა ლექსმა „სამშობლო ხევსურისა", რომელიც პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია, იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიპოვა და მალე სიმღერადაც იქცა.

წყარო: „tatatatuli.wordpress.com"

ალიან-ჩალიანი

## რეგიონული ვორქშოპი – ნატოს პროგრამის ფარგლებში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“, ნატოს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ (SPS) ფარგლებში, სასტუმრო „რუმს ჰოტელ თბილისში“ რეგიონული ვორქშოპი გამართა.

ღონისძიება გახსნა მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ვორქშოპის მნიშვნელობას რეგიონში კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მისაღწევად. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი გვენეტაძემ კიბერუსაფრთხოების საკითხებში ნატო-სა და საქართველოს წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრა.

„დღეს ჩვენ თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავედით, როდესაც ნატო-ს ეგიდით თბილისში თავი მოვუყარეთ დარგის ცნობილ ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რაც საშუალებას გვაძლევს, გამოცდილება და ცოდნა გავუზიაროთ ერთმანეთს, ხოლო საქართველო, როგორც კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით რეგიონული ცენტრი, კიდევ უფრო დაუახლოვდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს“, — აღნიშნა ირაკლი გვენეტაძემ.

სამუშაო შეხვედრა ნატო-სა და სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების კიბერუსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობასა და რეგიონული კიბერთავდაცვის უზრუნველყოფას მიეძღვნა. მას 18 ქვეყნის 50-ზე მეტი წარმომადგენელი და ნატო-ს წევრი ქვეყნების კიბერუსაფრთხოების სფეროს ექსპერტები ესწრებოდნენ. ვორქშოპის მუშაობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართველოში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მომუშავე ყველა უწყების წარმომადგენლები, რომლებიც განიხილავენ რეგიონში კიბერთავდაცვის სფეროში ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებებს.

## გრძელდება ტრენინგები

„თბილისი 2015“-ის ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ტრენინგებს აგრძელებს.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიურ ფესტივალთან დაკავშირებით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გადამზადების კურსი 120 მოხალისე სტუდენტს ჩაუტარდა. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ სერთიფიკატები გადასცა. ოლიმპიური ფესტივალის დროს სტუდენტები განთავსების ობიექტებსა და VIP ჰოლებში იმუშავებენ.

გარდაბანში, კონსორციუმი BP-ს კონტრაქტორი კომპანიის 400-მდე მუშის გაფიცვა, რომელიც გუშინ დილის 8 საათიდან მიმდინარეობდა, თანამშრომელთა სასარგებლოდ დასრულდა, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ინფორმაციაში. მოლაპარკებებში ტრანსპორტის პროფკავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ალანიაც ჩაერთო.

„საინიციატივო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც ადმინისტრაციის, მუშების და პროფკავშირების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მუშათა ყველა მოთხოვნა ადმინისტრაციამ გონივრულად მიიჩნია და მათი დაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიიღო. კომპანიამ აიღო ვალდებულება 10 ივლისიდან დააზღვიოს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობა, ზეგანაკვეთური ანაზღაურება გაიზარდოს სამჯერ და მუშებს დამატებით მიეცეთ დასვენების დღეები. მოლაპარაკებები სხვა საკითხებზე პროფკავშირების ორგანიზებით კვლავ გაგრძელდება“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

ინტერპრესი

ახლა 2009 წლის დეკემბრის მიწურულია, დილის ათი საათი. ცივა. „დაცვის ბიჭი“ ჩემს ვინაობას კითხულობს, მერე ვიღაცას ტელეფონით უკავშირდება. ორიოდ წუთში ის „ვიღაც“ მოდის, თავაზიანად მესალმება და ეზოს სიღრმისკენ მიმაცილებს. აქ პირველად ვარ. ეზო მოუვლელად გამოიყურება. მოშორებით საკმაოდ უგემოვნოდ აგებული საშუალო ზომის სახლი დგას. სწორედ ეს უნდა იყოს ოდესღაც მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი დიპლომატისა და პოლიტიკოსის, საქართველოს მეორე პრეზიდენტის რეზიდენცია. რაღაც უფრო გრანდიოზულს ველოდი. მეგზური კარს მიღებს და მკრთალად განათებულ კიბეებზე მიმიძღვება. კედლებზე დიდი ზომის ნახატები ჰკიდია. მხოლოდ თვალის შევლებას ვასწრებ — მადლიერი ქართველი მხატვრების საჩუქრები უნდა იყოს. ირგვლივ ყრუ სიჩუმე და ნესტის უსიამო სუნია. აი ისეთი, მიტოვებულ სახლებში რომ დაისადგურებს ხოლმე. ალბათ მეჩვენება — ყველაფერი დეკემბრის ამ უჟმური ამინდის ბრალი უნდა იყოს.

ძნელი სათქმელია, ოდესმე რა ნაყოფს გამოიღებს და როგორ შეფასდება მისი მოღვაწეობა. და მაინც, მან კარგა ხანია, დაიმკვიდრა ადგილი ისტორიაში, როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთ-ერთმა შემოქმედმა. მასთან ერთადვე დასამარდება იმედი, რომ ქართველი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიო პროცესების მართვაში ოდესმე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

პირველი დიდი იოსებ ჯუღაშვილი იყო. სწორედ მისი ფოლადისებური ნებით შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა და „იმპერიალისტურ“ და „სოციალისტურ“ ბანაკებს შორის რკინის ფარდა დაეშვა. „ფარდის“ აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს ჩასანგრებულთა შორის ხანგრძლივი და დაუნდობელი „ცივი ომის“ ეპოქა ჩამოწვა.

ედუარდ შევარდნაძე იყო „დიდი მეორე“. კაცი, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „დიადი დიდის“ უმტკიცესი დუღაბით ნაშენი კოლოსალური ციხესიმაგრის ნგრევასა და „ცივი ომის“ შეჩერებაში. როგორც ხატოვანი სიტყვა-თქმების მოტრფიალეები ამბობენ, ერთი ქართველი ისტორიაში შევიდა ბერლინის კედლის ამშენებლად, მეორე — მის დამანგრევლად.

სიმართლეს ალბათ ვეღარასოდეს შევიტყობთ — ძალაუფლებისაკენ დაუძლეველი ლტოლვის ბრალი იყო, გულის კუნჭულებში ღრმად გადამალული პატრიოტიზმის თუ ძმათამკვლელი ომის ჭაობში ყელამდე ჩაფლული თანამემამულეების ვედრებისა, მაგრამ 1992 წლის მარტის სუსხიან საღამოს ედუარდ შევარდნაძე სამშობლოში დაბრუნდა...

მოზრდილ დარბაზში შევდივართ. „დაცვის ბიჭი“ დაბრძანდითო, სავარძლისკენ მიმანიშნებს და, ჩემდა გასაკვირად, მაშინვე უკან ბრუნდება. ფუფუნებაზე აქ არაფერი მიანიშნებს — ტყავის ძველი დივანი, ორი სავარძელი, ჟურნალ-მაგიდა გუშინდელი ქართული გაზეთებით, ორი ბოთლი „ბორჯომით“, ორი ჭიქით, გადაშლილი ცარიელი ბლოკნოტითა და ტრადიციული მელნიანი ავტოკალმით. მოშორებით — წიგნებითა და ქაღალდებით დატვირთული კიდევ ერთი მაგიდა და სკამი. მგონი, სულ ეს არის. მოდური კომპიუტერიც კი არსად სჩანს.

შიდა ოთახიდან იდუმალი ქალი მეხმიანება, ბატონი ედუარდი ახლავე გეახლებათო და თითქმის მაშინვე ისიც ჩნდება: არავითარი შინაურული ფამილარობა — მუქი კოსტიუმი, ასეთივე ჟილეტი და ჰალსტუხი, შავი ტუფლი.

# „დიდი მეორე“ – უკანასკნელი ქართველი მსოფლიო პოლიტიკაში!

„დიდი მეორე“ მიახლოვდება და თავის თბილ, ფაფუკ ხელს მართმევს.

— დაბრძანდი, დაბრძანდი. ბოდიშს გიხდი, მგონი ცოტა დავაგვიანე, არა?

— არა, რას ბრძანებთ. მე თეიმურაზ ქორიძე ვარ, ჟურნალისტი. ბოდიშს მე გიხდით შეწუხებისთვის. თქვენთან...

— ჰო, გიცნობ მე შენ, გიცნობ. მაინც რამდენი ხართ ეს თეიმურაზ ქორიძეები, აა? — სიტყვა გამაწყვეტინა შევარდნაძემ და ფართოდ გაიღიმა, — ვიცი, აბა, უსაქმოდ ხომ არ მოხვიდოდი. ადრეც შევხვედრივართ. თუ არ ვცდები, შურღაიამ რომ ტელევიზია „დაიპყრო“, იმ დღეს. კიდე აჭარაში იყავი ჩემთან ერთად, ასლან აბაშიძეს რომ შევხვდი... ისიც მახსოვს, შეხვედრების შემდეგ, ბანკეტზე ჩემი ხმით შენს კოლეგებს ანეკდოტებს რომ უყვებოდი. — თავისი მომხიბლავი ღიმილი შემომანათა და მხარზე ხელი მომითათუნა. — ისე, ამ ბოლო დროს ვერიდები ინტერვიუების მიცემას — იწყება მერე, შევარდნაძემ ეს თქვა, ის თქვა...

— თუ ინტერვიუც გამოგვივა, მაგას რა სჯობს, მაგრამ თქვენთან სხვა საქმე მაქვს. უფრო სწორად — სათხოვარი. მინდა, დავწერო სამეცნიერო-პოპულარული წიგნი 1985-2003 წლებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე. თუ უფლებას მომცემთ, თქვენი პირადი არქივით ვისარგებლო, დიდად მადლობელი დაგრჩებით... — მინდოდა აქ გავჩერებულიყავი და პასუხს დაველოდებოდი, მაგრამ ჩემი მასპინძელი ფიქრებში და სავარძელში ისე ღრმად ჩაიძირა, მივხვდი, ერთხანს ხმის გამღები არ იყო. — ამიტომ გავბედე თქვენი შეწუხება. ვფიქრობ, ასეთი წიგნის გამოცემით ქვეყნისთვის და საქართველოს უახლესი ისტორიისთვის კარგი საქმე გაკეთდება. კი, ბევრი რამ უკვე დაიწერა, ახლაც იწერება, მაგრამ მეჩვენება, რომ ყველა თავისი გადასახედიდან წერს — პოლიტიკურ კონიუნქტურას ვერავინ გაექცა...

— ეს ალბათ მეც მეხება, არა? ჰო, მეც ვწერ რაღაცებს. ახლა კიდე ერთი წიგნი დავამთავრე... — თავი მოშორებით მდგარ ქაღალდებით სავსე მაგიდისკენ გადაიქნია. — არქივი? — არქივი მაქვს, რასაკვირველია, საკმაოდ მდიდარი არქივი. ყოველდღე ვმუშაობ... მაგრამ აი, ნანულის შემდეგ... — მოულოდნელად გაჩუმდა, თვალები ცრემლით აევსო და ხმაც გაებზარა (ნუთუ, მომეჩვენა!), — ნანულის შემდეგ მიჭირს მუშაობა. ხო, არქივს რაც შეეხება, ჩემი ბიჭი, პაატა განაგებს ამ საქმეს. ხო იცი, პაატას ვებერთელა თანამდებობა უჭირავს გაეროში. მე საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მარა პაატას უნდა დაეკითხო. შენამდე სხვებიც იყვნენ ჩემთან ამ საკითხზე. ორ კვირაში, მგონი, ჩამოსვლას აპირებს და დაველაპარაკები... ჩაის ხო დალევ? ნამდვილი ჩაია, იქიდან მიგზავნიან...

... ჩაის ვსვამთ. უფრო ზუსტად, თითქმის უშაქრო მართლაც არომატულ ჩაის ნებანება მე ვწრუპავ და უნებურად მის წარმომავლობაზე ვფიქრობ — ეს „იქიდან“ შევარდნაძის სამშობლო გურიაა თუ ჩაის სამშობლო ჩინეთი. გადამდგარი პრეზიდენტი ხელი-ხელ გადაჭდობილი ზის და თვალი დარბაზის შორეული კუთხისთვის გაუშტერებია.

— ჰო, გიცნობ მე შენ. სანამ აქ მოხვიდოდი, რაღაცებს კიდევ გადავხედე... შეიძლება ჩემს შესახებ ზოგი რამ არ იცოდე, ან საიდან უნდა იცოდე, მარა, გულწრფელად გეუბნები, შეიძლება ქართველი ჟურნალისტებიდან ერთადერთიც კი იყო, ვინც კვალიფიციურად მაკრიტიკებდა. ხო, მართლა, აჩიკო გოგელია როგორ არი? ამ ბოლო დროს არ ჩანს რაღაც... მგონი, ეგეც გამინაწყენდა. თუ ნახავ, გადაეცი, რომ ძალიან ვაფასებ, პრინციპული კაცია. კიდე ბევრის გაკეთება შეეძლო...

**— რამდენი წელია ერთი კითხვა მაწვალებს, ბატონო ედუარდ — როგორ მოხდა, რომ თქვენმა პოლიციამ, სპეცსამსახურებმა სააკაშვილი და მისი ხალხი ჯერ ასე ახლოს მიუშვა პარლამენტის შესასვლელთან და მერე შენობის კარიც გაუღო?**

— კი, ბატონო, გიპასუხებ, მარა ჯერ, თუ ძალიან არ გეჩქარება, მოკლედ იმაზე გეტყვი, რაც მანამდე იყო. თქვენ, ჟურნალისტებმა და საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ მხოლოდ ის იცით, რაც ტელევიზიებით და პრესით გადაიცემოდა, რასაც სააკაშვილი და მისი მომხრეები ლაპარაკობდნენ და ახლაც ლაპარაკობენ.

1998 წლისთვის საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით უკვე სტაბილური ვითარება შეიქმნა. ეს ძნელი მისაღწევი იყო, ძალიან ძნელი — აქეთ „მხედრიონი“, იქით კიტოვანი, იმის იქით კიდე „ზვიადისტები“, სამოქალაქო დაპირისპირება, ხელისუფლებაში კარგად ფეხმოკიდებული თაღლითები, მექრთამეები და ფსევდო-პატრიოტები, შეიარაღებული ბანდები, რა ვიცი, რაღა არა... ძნელი და მტკივნეული პროცესი იყო ეს, ძალიან ძნელი და მტკივნეული. მართალია, აფხაზეთის ომი წავაგეთ — ოდესმე ამაში დამნაშავე ავანტიურისტების ვინაობაც გაირკვევა — მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ქვეყნის განვითარების და მომავლის იმედი შევინარჩუნეთ.

საქართველოს ხელისუფლებებს ყველა ეპოქაში, ასე ვთქვათ, ბეწვის ხიდზე სიარული უწევდა — ბიზანტია, ირანი, არაბთა სახალიფო, ოსმალეთი, რუსეთი, ჩრდილო-კავკასიური ტომები... მოკლედ, იცი შენ ყველაფერი ეს. გამონაკლისი არც გასული საუკუნის 90-იანი წლები ყოფილა. ჩვენ როგორმე ისე უნდა გაგვევლო დასავლეთის სამყაროსა და რუსეთს შორის გადებული ხიდი, რომ უფსკრულში არ გადავჩეხილიყავით. კი ბატონო, კარგია, როგორც უყვართ თქმა, — დასავლური ღირებულებებისადმი ჩვენი სწრაფვა, — მარა რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა დამღუპველია. ეს ყველამ იცის, ყველამ, მარა რუსების გინება და გულზე მუშტების ბაგუნი უფრო მომგებიანია პოლიტიკაში თავის გამოსაჩენად. 1998 წლის ბოლომდე დასავლეთის ინტერესი და დახმარება საქართველოსადმი სიმბოლური იყო. ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციის შემდეგ მათ საქართველოში აშკარად პროდასავლური და ამავე დროს ანტირუსული ძალა სჭირდებოდათ. ჩემი ხელისუფლებაში ყოფნა არც რუსეთს აწყობდა — კრემლს შევარდნაძე დღესაც საბჭოთა იმპერიის დამანგრევლად და მოსისხლე მტრად მიაჩნია. მე კი არ დავანგრიე, კაცო, მსოფლიო სოციალისტური სისტემა და საბჭოთა კავშირი, ისტორიამ დაანგრია. მე, უბრალოდ, ამ მოვლენებთან ახლოს აღმოვჩნდი და ხელი არ შემიშლია...

ახლა იმასაც ვფიქრობ, სწორი იყო თუ არა ჩემი მონაწილეობა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ნგრევაში, რამაც კაცობრიობას უამრავი უბედურება მოუტანა და კიდევ ბევრ უბედურებას მოუტანს.

რუსეთი ძალიან საშიში პარტნიორია. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, მე ორ ძალას შორის ლავირება ვცადე, რაც, ჩემი აზრით, საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობამდე მიგვიყვანდა. ეს არც ერთ მხარეს არ აწყობდა. ამიტომაც მომიშორეს. თანაც, ასაკი...

რატომ გიყვები, იცი, ამას? — სწორედ ამ დროიდან, ცოტა უფრო ადრეც დაიწყო შევარდნაძის შემცვლელი ძალის მომზადება. ვიცი მე ეს, მეც მყავდა ჩემი წყარო, მარტო ჟურნალისტებს კი არ გყავთ...

ოღონდ აქ იყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი — თუ ხელისუფლების გადაბარება არჩევნების გზით, მშვიდობიანად მოხერხდებოდა, მაშინ სააკაშვილისნაირი ტიპები უშანსოდ დარჩებოდნენ. ეს არც ამერიკელებს აწყობდა და არც რუ-

სებს... მითქვამს მე ეს და კიდევ გავიმეორებ — სააკაშვილი ორივეს აწყობდა, ასე ვთქვათ, რუსეთ-ამერიკის ერთობლივი პროექტი იყო. უპრინციპო, ადვილად სამართავი კაცია და იმიტომ.

2003 წლის ბოლოსთვის უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი და, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, უკვე ყველა გადაბირებული იყო. ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ერთი კახა თარგამაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი, რჩებოდა ჩემს თანამოაზრედ და ისიც ჟვანიას კატეგორიული მოთხოვნით, იძულებული გახდა, გადამდგარიყო. მე თვითონ ვთხოვე.

ამას იმიტომ გეუბნები, რომ დემონსტრანტებისთვის გზა რომ გადაგვეკეტა, იქ ჩანერგილი პროვოკატორები აუცილებლად ვინმეს მოკლავდნენ და დიდი სისხლი დაიღვრებოდა. ვიცოდი მე ეს, ვიცოდი. ისიც კი ვიცი, ვინ ხელმძღვანელობდა ამ ამბავს. არ ღირს პრეზიდენტობა, პირველკაცობა, საერთოდ, არაფერი არ ღირს ადამიანების სისხლად. ამიტომ წავედი სახლში! ძალიან მწყდება გული, ბევრ ადამიანზე მწყდება გული, აი, ღალატს რომ არ ველოდი, იმ ადამიანებზე...

მომეჩვენა, რომ გადამდგარი პრეზიდენტი ძალიან დასევდიანდა.

**— ...დასკვნამდე თქვენი პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ მიხვედით, თუ ადრეც ასე ფიქრობდით?**

— ხო, ვხვდები, რასაც გულისხმობ. ჩემი ცეკას მდივნობის პირველ წლებს, არა? მართალი ხარ, ეს ჩემი შეცდომა იყო. შენც ბევრჯერ გამაკრიტიკე ამის გამო და არც სხვებს დაუკლიათ. მაშინ გულწრფელად ვიყავი დარწმუნებული, რომ კორუფცია, ბიუჯეტის ძარცვა, შემოსავლების მალვა მართლაც შეუთავსებელი იყო მმართველობის კომუნისტურ წესთან — თუ საერთო-სახალხო საკუთრებაა, როგორ შეიძლება ადამიანი საკუთარ თავს ძარცვავდეს! გვიან მივხვდი, რომ მმართველობის კომუნისტური წესი თავის თავში გულისხმობდა ამ მანკიერებებს, სხვანაირად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, ერთ რეგიონში, საქართველოში, წესრიგის დამყარების მცდელობა წინასწარ განწირული იყო. ხომ გეუბნებით, ამას გვიან მივხვდი. თუმცა, ერთი რამეცაა — ის ღონისძიებები რომ არ გაგვეტარებინა, დარწმუნებული ვარ, ძალიან ცუდი შედეგები დადგებოდა, ქვეყანას მთლიანად ქურდული სამყარო დაეპატრონებოდა.

ჰო, 96-ე პრიმა მუხლი, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის სასჯელის უმაღლეს ზომას რომ გულისხმობდა, სისხლის სამართლის კოდექსში მე კი არ შემიტანია!

„თვითმფრინავის ამბავშიც“ მე მადანაშაულებენ — არიქა, შევარდნაძემ უდანაშაულო ბიჭები დაახვრეტინაო, შევარდნაძეს იმ ბიჭების გადარჩენა შეეძლო და არ გადაარჩინაო. არ შეიძლება ასე ლაპარაკი, მეც ადამიანი ვარ და მყოფნის ჩემი ცოდვები. თავის დროზე ხომ შენც შეისწავლე ეს საქმე, რატომ არაფერი დაწერე? — იმიტომ არ დაწერე, რომ ამ საქმეში ჩემი დადანაშაულება სისულელე იქნებოდა და სიმართლის თქმა, ანუ სიკვდილით დასჯილების დადანაშაულება — ამორალური საქციელი. ხომ ასეა? მაშინ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, იქ დანაშაული იყო ჩადენილი, უმძიმესი დანაშაული — ბანდიტური ჯგუფის შექმნა, სამშობლოს ღალატი, თვითმფრინავის გატაცება, ადამიანების წინასწარ განზრახული მკვლელობა. ყველაფერი ეს ერთად და ცალკ-ცალკე სიკვდილით ისჯებოდა. ვითარებას ისიც ამძიმებდა, რომ მანამდე საბჭოთა კავშირში რამდენიმე მსგავსი დანაშაული მოხდა.

9 აპრილის მოვლენებსაც მე მაბრალებენ... მე რა შუაში ვარ? მაშინდელ ხელისუფლებასაც და, განსაკუთრებით, აქციის ორგანიზატორებს, უნდა სცოდნოდათ, რომ ასეთ რამეს კრემლი დაუსჯელად არ დატოვებდა. თვითონ ორგანიზატორებს სჭირდებოდათ ეს სისხლიანი ბაკქანალია. პრინციპში — ჯერ სისხლი ღვარეს და მერე ისარგებლეს კიდეც...

კომუნისტურ ეპოქაში მაღალ თანამდებობაზე ყოფნა შეუძლებელი იყო სისასტიკის გარეშე. ახლა არ არის ამის აუცილებლობა, არც ვინმე მოითხოვს, მაგრამ ნახეთ, კაცმა „ნულოვანი ტოლერანტობა“ გამოაცხადა! ეს ცუდად დამთავრდება ქვეყნისთვისაც, პირადად მისთვისაც და მისი გუნდისთვისაც. დაიმახსოვრეთ ეს.

**— მაპატიეთ, მგონი, ძალიან შეგაწუხეთ, მაგრამ იქნებ ორიოდე სიტყვით საქართველოს დღევანდელი ვითარება შეაფასოთ?**

— არა, შეწუხება რა შუაშია, განვიცდი ამას ყველაფერს. მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ, აქ მიცხოვრია და აქ უნდა დავიმარხო, ჩემი ნანულის გვერდით... დღევანდელი საქართველოს ვითარება ძალიან მძიმეა, ძალიან მძიმე. რუსულ-ამერიკულმა პროექტმა აშკარად ვერ გაამართლა. რა გგონია, სააკაშვილი ისეთი ბრიყვია, არ იცოდა, რომ რუსეთს ომს ვერ მოუგებდა? იცოდა, ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ მაინც ჩაება წინასწარ განწირულ ავანტიურაში და სავალალო შედეგიც მოიმკა. ჩვენ აფხაზეთში ცამეტი თვის განმავლობაში ვუმკლავდებოდით რუსეთის და დაქირავებულების კბილებამდე შეიარაღებულ არმიას. ცამეტი თვის განმავლობაში! შენც, ბევრი სხვა ჟურნალისტიც იყავით იქ და იცით, რა რესურსები გაგვაჩნდა. შიდა არეულობა რომ არა, სამოქალაქო დაპირისპირება რომ არა, ნაძირლობა და გამყიდველობა რომ არა, არავინ იცის, ის ომი როგორ დამთავრდებოდა. არ მინდა მაგ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ ის ომიც ჩემი ნების და სურვილის წინააღმდეგ დაიწყო. ოდესმე ყველაფერი გაირკვევა. ხო, ჩვენ იმ პირობებში, იარაღი და სურსათი რომ არ გვქონდა, რეგულარული ჯარი რომ არ გვყავდა, პროფესიონალი საველე მეთაურები რომ არ გვყავდა და ზურგში რომ გვესროდნენ, იმ პირობებში ცამეტი თვე ვიომეთ. შარშან აგვისტოში სააკაშვილმა ერთი დღეც ვერ გაუძლო, მთელი სამხედრო პოტენციალი და ნახევარი საქართველო ჩააბარა რუსეთს!

დღეს საქართველოში უმძიმესი ვითარებაა, ყველა თვალსაზრისით. სააკაშვილის ხელისუფლება აშკარად გაკოტრებულია. რუსეთშიც და ამერიკაშიც მიმდინარეობს მისი შემცვლელის ინტენსიური ძებნა. არ არის ეს იოლი საქმე, მაგრამ ალბათ გამოიძებნება ძალა, რომელიც მას შეცვლის. დარწმუნებული ვარ, ისიც რუსულ-ამერიკული პროექტი იქნება... ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და დიდი ქვეყნების, განსაკუთრებით, რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად გადაწყვეტილებების მიღება თითქმის წარმოუდგენელია.

მეტსაც გეტყვი, სააკაშვილის შემდგომი საქართველოს ხელისუფლება განწირული იქნება წარუმატებლობისათვის — იგი მართვის სააკაშვილისეულ ძალადობრივ მეთოდებს ვერ გამოიყენებს, ეკონომიკური პოტენციალიც თითქმის ამოწურული დახვდება. თითქმის ამოწურული იქნება საქართველოს ხელისუფლებისადმი საერთაშორისო ნდობის ლიმიტიც...

— მოკლედ, ბატონო ედუარდ, გვეშველება რამე?

შევარდნაძემ ისე შემათვალიერა, თითქოს პირველად მხედავდა. ორივე ხელის თითები ერთ მუშტად შეკრა, მუხლებზე დაიდო და გაირინდა. მომეჩვენა, რომ ძალიან დიდი დრო გავიდა. ის იყო, ვიფიქრე, ალბათ ჩემი არსებობა დაავიწყდა და დროა, აქედან წავიდე-მეთქი, რომ თავისი განთქმული მომხიბლავი ღიმილი შემომაგება:

— კი, პატარა ქვეყანაა საქართველო, მარა არც ისე უმნიშვნელოა, საერთაშორისო თანამეგობრობამ რომ ბედის ანაბარად მიატოვოს. არც ისინი მიგვატოვებენ და ჩვენც ჭკუით უნდა მოვიქცეთ... კი გვეშველება, აბა, არ გვეშველება? მარა... ამ ხელისუფლების ხელში არაფერი არ გვეშველება!...

გამომშვიდობების დროც დადგა. წამოვდექი. მასპინძელიც წამოდგა.

— ხო, გადავცემ პაატას შენს თხოვნას და დაგიკავშირდებიან ჩემი სახელით. მეც მაქვს შენთან ერთი პატარა სათხოვარი...

**— ?**

— ვიცი, ჟურნალისტი ხარ და ასეთი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვა. კი ბატონო, დაწერე, რაც გინდა, მარა ძალიან გთხოვ, სანამ ცოცხალი ვარ, არ გამოაქვეყნო — დაიწყება კიდე თავიდან ჩემი ლანძღვა-გინება. აი, როცა აღარ ვიქნები, მაშინ მარტო შენ გაგლანძღავენ - ამას შევარდნაძე არ იტყოდა, ჟურნალისტმა გამოიგონაო... ნუ გეშინია, კაცო, დიდ ხანს არ გალოდინებ, ოთხმოცი წლის ვარ უკვე... თანაც, გამიგონია, ჟურნალისტისთვის ლანძღვაც კაი რეკლამააო...



**თეიმურაზ ქორიძე.**




**— მაპატიეთ, ამას რომ გეკითხებით, მაინც განსაკუთრებით ვისზე გწყდებათ გული?**

— რომ გითხრა, ვალერი ხაბურძანიაზე, ან სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსზე, ან რჩეულიშვილზე, რა ქვია მაგას, ხო, ტუიზე-მეთქი, არ ვიქნები მართალი. მათგან და კიდე სხვებისგან არც ველოდი ერთგულებას და თავგანწირვას. აი, ნინო ბურჯანაძისგან კი სააკაშვილთან გადაბარგება მეწყინა კიდეც და გამიკვირდა კიდეც. ჯერ ერთი, ამაგი მაქვს მის ოჯახზე და პირადად ნინოზე — ჩემს შვილებში არ გამომირჩევია; ყველაფერში ხელი შევუწყვე — სწავლაში, კარიერაში. რაც მთავარია, იცოდა ნინომ, ვისთანაც მიდიოდა. ადრე თუ გვიან, სააკაშვილი გაწირავს მაგასაც. თუ მაშინ ცოცხალი ვიქენი, ნამდვილად არ გამიხარდება ეს ამბავი. ისე, გამიკვირდა კიდეც — ნინო მარტო ნიჭიერი კი არა, ჭკვიანი ქალია, ჭკვიანია და თავისი პოლიტიკური კარიერა სააკაშვილისთვის არ უნდა დაეკავშირებინა... რომ დამცლოდა, ჩემს შემდეგ პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ნინო ბურჯანაძე იქნებოდა. იჩქარა, ძალიან იჩქარა...

**— კიდევ ვისზე გწყდებათ გული?**

— ზურა ჟვანიაზე. ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. ჩვენ ბევრი გვისაუბრია. იცოდა მაგან თავისადმი ჩემი დამოკიდებულება. სააკაშვილზე და კიდე ზოგიერთებზეც ბევრი გვილაპარაკია. ძალიან ცუდად მოიქცა. მხოლოდ იმიტომ არა, რომ სააკაშვილს დაუდგა მხარში... თავისი უგუნური საქციელი მან სიცოცხლით ზღო და ახლა არ ღირს ლაპარაკი. ცოცხალი რომ იყოს, სხვა ამბავია. ისე, მგონი, ყველაზე ადრე მიხვდა, სადაც გაყო თავი — ხო გახსოვს, რა სახე ქონდა 2003-ის ნოემბერში, ჩემთან შეხვედრის მერე. უკვე გვიან იყო, უკან დასახევი გზა არ დაიტოვა, არსაით... ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით, კერძოდ, რა მოხდა, რასაკვირველია, არ ვიცი, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო. ჟვანიას ეგონა, რომ ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ თვითონ იქნებოდა პირველი „სკრიპკა“, თვითონ გააკონტროლებდა მოვლენათა მსვლელობას. სააკაშვილი კი იმაზე გაცილებით ვერაგი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ჟვანიას, ნინოს და ბევრ სხვას წარმოედგინა...

**— წელან ბრძანეთ, პრეზიდენტობა, პირველკაცობა, საერთოდ, ადამიანის სისხლად არაფერი არ ღირსო. მაპატიეთ, მაგრამ ამ**

**P. S. არ ვიცი, მეხუმრა თუ არა თავისი ენაკვიმატობით ცნობილი შევარდნაძე, მაგრამ მის თხოვნას მაინც ვასრულებ. მისდამი ჩემს თხოვნას რაც შეეხება, ხუთი წლის შემდეგაც არავინ შემხმიანებია.**

20. 02. 2015 წელი.

## ⦿ ალიან-ჩალიანი

## ვეტერანთა ჰოსპიტალს სამედიცინო ინვენტარი გადაეცა

**ჩაფიძის კლინიკამ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს შემოწირულობის სახით 25 საწოლი, 12 ტუმბო და 7 შტატივი გადასცა. ამის შესახებ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან იტყობინებიან. აღნიშნული ინვენტარი სამსახურის ხელმძღვანელობის ინიციატივით, ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა ჰოსპიტალში განთავსდება.**

**ჰოსპიტალში ინვენტარის ნაკლებობაა და არსებულიც რეაბილიტაციას საჭიროებს, ამიტომ ეს მცირედი დახმარება ჰოსპიტალის მედპერსონალისა და პაციენტებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ინვენტარის გადატანის პროცესს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილე ზაზა მესხი და ჰოსპიტალის ხელმძღვანელი გია მაცაბერიძე ესწრებოდნენ.**

## უსაფრთხოების სამსახური გასამხედროებული უწყება არ იქნება

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გასამხედროებული უწყება არ იქნება. როგორც შს მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განმარტა , ჩანაწერი „გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემასთან“ დაკავშირებით კანონპროექტიდან ამოღებულია.**

**მისივე თქმით, გათვალისწინებულია კრიტიკა, რომელიც საპოლიციო და უსაფრთხოების ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნის საკითხზე არსებობდა. „ეს უზრუნველყოფილია მთელ რიგ ჩანაწერებში. მათ შორის ეს სპეციალური საშუალებების გამოყენებასაც ეხება“, — აღნიშნა ლევან იზორიამ.**

## საბერძნეთში მცხოვრები ქართველები კუთვნილ ანაზღაურებას ვერ იღებენ

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველებმა განაცხადეს, მთელი თვის განმავლობაში ხელფასი არ აუღიათ, დამსაქმებლები კი პირდებიან, რომ დავალიანებას ეტაპობრივად გაუსტუმრებენ. მათივე ინფორმაციით, ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა და მათ, ვისაც საბერძნეთის მოქალაქეობა არ აქვს, ქუჩაში გამოსვლისაც ეშინია.**

**„ველოდებით რეფერენდუმის შედეგებს და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, დავრჩებით თუ არა ქვეყანაში. თუ საბერძნეთი ევროზონიდან გამოვიდა, უცხოელების მიმართ გამკაცრდება მოთხოვნები და შესაძლოა, აქ მუშაობა ვეღარ შევძლოთ“, — აცხადებენ ქართველები. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, მოსახლეობა პანიკაშია. გასულ კვირას ბანკებთან და ბანკომატებთან რიგები არ წყდებოდა. მოქალაქეებს მასობრივად გაჰქონდათ დიდი რაოდენობის თანხა, რის გამოც, ქვეყნის მთავრობამ ბანკების ერთი კვირით დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. ბანკომატებიდან თანხის გატანა კი შეიზღუდა. დაწესდა დღიური ლიმიტი — მაქსიმუმ 60 ევროს ოდენობით.**

**ამასთან, საბერძნეთში რეფერენდუმი 5 ივლისისთვის არის დაგეგმილი. რეფერენდუმზე მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, უჭერენ თუ არა მხარს ქვეყანაში მკაცრი ეკონომიკური რეფორმების გატარებას, რასაც საერთაშორისო კრედიტორები ფინანსური დახმარების ნაცვლად ითხოვენ. თუ ამომრჩეველი ევროზონის წინადადებას დათანხმდება, პრემიერ-მინისტრი ალექსის ციპრასი თანამდებობის დატოვებით იმუქრება.**

**ოჯახი კაცისა და ქალის ერთობაა!**

# „ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება კონსტიტუციასაც შეცვლის“

**რამ შეცვალა რადიკალურად ბარაკ ობამა, გაუგებარია, ვინაიდან თავდაპირველად, ერთსქესიანთა ქორწინებას ეწინააღმდეგებოდა. როგორც ჩანს, „მოდურმა“ ტენდენციამ მასზეც იმოქმედა და ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას 50-ივე შტატში (36-ის ნაცვლად) ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ „ამერიკის გამარჯვება“ უწოდა.**

**ადრინდელი ობამასგან განსხვავებით, დღევანდელ ობამას „ისტორიული სიტყვებიც“ დასცდა: „უბრალოდ, სიყვარულმა გაიმარჯვა“...**

ობამა პირველი მოქმედი პრეზიდენტია, რომელმაც მსგავსი განცხადება გააკეთა და ამით „რესპუბლიკური პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატ მით რომნის დაუპირისპირდა, რომელსაც, თავის მხრივ, სჯერა, რომ ქორწინება კაცსა და ქალს შორის ურთიერთობაა

სხვათა შორის, იმავე ობამას 2015 წლის ერთ-ერთ ბოლო მოხსენებას, როდესაც მან გეი-ქორწინებას ადამიანის მოქალაქეობრივი უფლება უწოდა, მთელი დარბაზი აპლოდისმენტებით შეხვდა. მხოლოდ ამერიკელი სასულიერო პირები ისმენდნენ ობამას ფერისცვალებას რეაქციის გარეშე. ბევრისთვის საგანგაშო სიგნალია ისიც, რომ ამიერიდან ამერიკელ ერთსქესიანებს შვილად აყვანის უფლებაც მიეცემათ. ასე რომ, ფსიქოლოგიური ზეგავლენის თუ არასწორი აღზრდის შედეგად კიდევ უფრო მეტ ერთსქესიანებს მივიღებთ და მალთუსის თეორიაც ამოქმედდება.

ილია მეორე **აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დიდ შეცდომას უწოდებს, რასაც, ასევე, იზიარებენ თავად ამერიკელები, მათ, შორის, ამერიკელი სასულიერო პირებიც. უწმინდესის თქმით, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები და სახელმწიფოები უკანონობას აკანონებენ, მაგრამ ქართველმა ადამიანმა უნდა გაარჩიოს, სად არის კეთილი და ბოროტი და რა არის მისაღები და მიუღებელი. უფრო მეტიც, უწმინდესი თვლის, რომ ხშირად ადამიანი თავისუფლებას ბოროტად იყენებს, რაც დამღუპველია ადამიანის სულისთვის, რადგან სრული თავისუფლება რომ მიეცეს ადამიანს, მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო არც ათი მცნება, არც კანონები, არც წეს-ჩვეულებები.**

იმ ფონზე, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ირწმუნება, რომ ევროსტრუქტურებში გაწევრების გზაზე შემაფერხებელი ფაქტორი სწორედ ლგბტ თემის უგულებელყოფაა, **ირაკლი ღარიბაშვილი** პირობას დებს, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ქართული სახელმწიფო სწორედ ჩვენს სარწმუნოებასა და ოჯახის ინსტიტუტზე დგას, სწორედ ამიტომაც ოჯახს მეორე ტაძარს უწოდებენ ქართველები.

**„ქართველები მთელ მსოფლიოში გამორჩეული ერი ვართ, ჩვენი ენით, დამწერლობით, კულტურით, ისტორიით, გაუტეხელი სულითა და ბუნებით, რომელიც ვერც ერთმა მტერმა ვერ დაჯაბნა. ქართველობა ჩემთვის არის დიდი სიმდიდრე და დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი დიდი წინაპრების წინაშე. ქართველობა საამაყოა იმიტომ, რომ ქართველი კაცი თავგანწირვას არასოდეს გაურბოდა. ჩვენი წინაპრები საკუთარ „მე“-ზე არასოდეს ფიქრობდნენ და ყველაზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებდნენ. დღეს კი გახედეთ, რა ხდება — ის ადამიანები, რომლებიც ოჯახის ინსტიტუტს ეწინააღმდეგებიან, მხოლოდ საკუთარი პირადიდან გამოდიან და მეტი არაფერი ანაღვლებთ“,** — განმარტავს პრემიერ-მინისტრი.

ირაკლი ღარიბაშვილის მოსაზრების კომენტირებისას იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი** აცხადებს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში შავით თეთრზე წერია, საქართველოში ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მანანა კობახიძე** კი განმარტავს, **„სულ რომ მარტონი დავრჩეთ ამ დედამიწაზე, ყველა ჩვენმა მეგობარმა, პარტნიორმა თუ მოკავშირემ რომ ზურგი გვაქციოს, მე მაინც ვიტყვი, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დიდი შეცდომაა“.**



იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო რადიკალი ისლამისტების საშიშროების წინაშე დგას, საინტერესოა, რას ეფუძნება ბარაკ ობამას შეცვლილი პოზიცია და რამდენად არის აუცილებელი საქართველოს კონსტიტუციაში მსგავსი შეხსენების არსებობა, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობას წარმოადგენს?! თბილისის წმინდა ნინოს ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი მამა **დავით ქვლივიძე** For.ge-სთან საუბრისას ამბობს:

ჩვენს პრემიერს ქართველი ხალხი გვერდში დაუდგება, რადგან საქართველოს მოსახლეობის 75-80% ერთსქესიან ქორწინებას დაუშვებლად მიიჩნევს. ისეთი ხალხი უნდა აირჩიონ პარლამენტში, ვინც ლგბტ დროშას არ აგვიფრიალებს. უფრო რთულადაა საქმე, ვიდრე წარმოგვიდგენია. ისლამური ხალიფატის შემქმნელებმა ისლამისტები მომართეს ჩვენს წინააღმდეგ. სულ ახლახანს ამერიკის კონგრესის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მოგვმართა, თბილისელო მართლმადიდებლებო, ფრთხილად იყავით, ნუ აბრაზებთ მუსლიმანებსო. თუ დასავლეთი გვეუბნება, მე ველარ დაგიცავთო, მაშინ რა ფუნქცია აკისრია ნატოს და ევროკავშირს?“ — აცხადებს მამა დავით ქვლივიძე და ფიქრობს, რომ ამერიკამ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება სხვა ერებს თავს არ უნდა მოახვიოს. მაშინ ეს რაღა დემოკრატიულობა იქნება?

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ამერიკულმა და ევროპულმა საზოგადოებამ განვითარების სულ სხვა პერიოდი გაიარა და, მათგან განსხვავებით, სრულიად განსხვავებულია ჩვენში არსებული რეალობა.

**„ქართული რეალობიდან უნდა გამოვიდეთ. პირადად მე არათუ ერთსქესიანი წყვილების მიერ შვილად აყვანის პროცედურას არ მივესალმები, არამედ, ზოგადად, მგონია, რომ ჩვენი საზოგადოებისა და კულტურისთვის ასეთი რამის დაშვება ყოვლად წარმოუდგენელია. აღარაფერს ვამბობ მართლმადიდებლობასა და ჩვენს ეკლესიაზე. თუ ეს პრობლემა დადგებოდა ჩემს წინაშე, მე ამის მოწინააღმდეგე ვიქნებოდი. არ ვიცი, რა მოხდება 10, 20, 30 წლის შემდეგ, მაგრამ არც ის მგონია, თუ ჩვენ ერთსქესიანი წყვილების დაკანონებას დავუშვებთ, ამით ევროპული ან დასავლური საზოგადოება გავხდებით. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი არგუმენტია. რაც შეეხება კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა, ვგრძნობ, საიდან გაჩნდა ეს იდეა. ჩემსავით, ჩვენს საზოგადოებაში ბევრი ადამიანი უარყოფითად აფასებს ერთსქესიანთა ქორწინებას და შიშობს, რომ საქართველოში ეს შეიძლება დაკანონდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ კონსტიტუციაში უნდა გაკეთდეს ასეთი ჩანაწერი. ზოგადად, კონსტიტუციაში ამის ჩაწერას არ მივესალმები, მგონია, რომ ეს ზედმეტად დეტალიზირებულია და, თუ ჩვენი საზოგადოება მივა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამდე, მაშინ ის კონსტიტუციასაც და ამ ნორმასაც შეცვლის. რა თქმა უნდა, ეს დამცავი მექანიზმი არ არის, უბრალოდ, ეს დამამშვიდებელი მექანიზმია.**

**მანანა ნოზაძე**

## დედამიწის ზურგზე



### ჩერნობილის მახლობლად განკერძოების ზონაში ახალი ხანძარი გაჩნდა

29 ივნისს განკერძოების ზონაში ხანძარი გაუჩნდა მშრალ ბალახსა და ლელქაშს, რომელიც გავრცელდა ცალკეული კერებით დაახლოებით 130 ჰექტარის ფართობზე. ადრე, 28 აპრილს ხანძარი განკერძოების ზონაში მძვინვარებდა დაახლოებით 400 ჰექტარის ფართობზე, მაგრამ მისი ჩაქრობა უფრო იოლად მოახერხეს.

### იემენის დედაქალაქში დანაღმული ავტომობილი აფეთქდა, დაღუპულია 28 კაცი

ინციდენტი მოხდა იემენის დედაქალაქ სანაში სამხედრო ჰოსპიტალის მახლობლად. პასუხისმგებლობა აფეთქებაზე იკისრა „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებამ. ტერორისტული აქტის მიზანი იყო 2 ძმა, მეამბოხე ჰუსიტების ლიდერები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ხსოვნის ცერემონიაში ჰოსპიტალში.

### თვითმფრინავის ავარიამ ინდონეზიაში სულ ცოტა 30 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა

ინდონეზიის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი C-130 ჩამოვარდა ქალაქ მედანის მახლობლად საცხოვრებელ ადგილას. ავარიის დროს საჰაერო ხომალდი დაეჯახა რამდენიმე საცხოვრებელ სახლსა და ავტომობილს. ინდონეზიის სამხედრო-საზღვაო ძალები არ ახმაურებენ ავიაკატასტროფის მსხვერპლთა რიცხვს. ამავე დროს სამძებრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა 30 დაღუპულის შესახებ.



### იაპონიაში სწრაფ მატარებელში მგზავრის სუიციდის გამო მოხდა ხანძარი, დაიღუპა 2 კაცი

მამაკაცმა, რომელიც მატარებლის ვაგონში ხანძრის შედეგად დაიღუპა, წინასწარი მონაცემებით, თავად გადაისხა თავზე ცეცხლმოდებული სითხე თვითმკვლელობის მიზნით. ამის შესახებ პოლიციას ინციდენტის თვითმხილველებმა აცნობეს. მათი სიტყვებით, მამაკაცი ვაგონში ღვრიდა რაღაც ნავთის მაგვარ სითხეს.



№120. ოთხშაბათი, 1 ივლისი, 2015 წელი.

# „... და მე ვამბობ, აფხაზეთი ჩემი!“



**მურმან ლებანიძის ამ სიტყვებით შემთხვევით არ დამისათაურებია წინამდებარე და ის სტატიაც, რომელიც ჩვიდმეტი წლის წინათ გამოვაქვეყნე გაზეთ „ქუთაისში“, თუმცა, მას შემდეგ რაიმე სასიკეთო ცვლილება აფხაზეთთან დაკავშირებით არ მომხდარა და მომიწევს ზოგიერთი ჩემი მოსაზრება კვლავაც გავიმეორო. გავიმეორო თუნდაც ის დასკვნა, რომელიც მაშინ თითქმის არსად ჟღერდა: „ჩვენი პოლიტიკური ლექსიკონიდან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვიღოთ ტერმინი „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“ და ვუწოდოთ მას „აფხაზეთთან დაკავშირებული რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი“.**

არადა, ბედის ირონიას ჰგავდა, როცა საქმეს ისე ხატავდნენ, თითქოს ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთთან ომი გავაჩაღეთ, ხოლო „მშვიდობის დამცველი“ რუსეთი შუამავლის მისიით გვაშველებდა და ამ „კეთილ“ საქმეს თავკაცობდა ველიკორუსული იდეებით თავგასიებული დერჟამორდა ბორის პასტუხოვი.

მჯერა, დღესაც ყოველი აფხაზის თუ ქართველის გული კვნესის და ლოცვასავით ჩურჩულებს: „აფხაზეთი ჩემი!“

კავკასია, აფხაზეთი და, საერთოდ შავიზღვისპირეთი, არასდროს დარჩენილა რუსეთის საფრთხისშემცველი ყურადღების გარეშე. „ვლადიკავკაზ“, „ვლადიმირ“, „ვლადივოსტოკ“ – აი, რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შინაარსი და მასშტაბები ოქტომბრის რევოლუციამდე, მას შემდეგაც და დღესაც.

სხვათა შორის, „დემოკრატიული“ თუ „რეაქციული“ რუსეთის მისწრაფებები ამ თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სამწუხაროდ, გარეგნული შელამაზ-შეფერადების მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკას დღემდე არ განუცდია შინაარსობრივი ცვლილება. პირიქით, ზოგჯერ ეს პოლიტიკა პირდაპირი აგრესიის სახეს ღებულობს, მიუხედავად „სამართლიანობით“ ვერაგულად შეფერადებული მოტივებისა.

სწორედ ასეთი ვერაგულად შეფერადებულ-შელამაზებული მოტივებით და წაქეზებით შეცდომაში შეიყვანეს სეპარატისტული სულისკვეთების მქონე აფხაზთა ერთი ნაწილი და ... მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

რადგან მთავრობები საქმეს ვერა და ვერ აგვარებენ, პრობლემის გადაჭრა ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა უნდა აიღონ ხელთ და სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობები სრულად გამოიყენონ.

სახალხო დიპლომატიის ფუნდამენტი და უცილობელი წარმატების საწინდარია აფხაზი და ქართველი ხალხების საუკუნეებით განმტკიცებული თანაარსებობის და ძმური ურთიერთპატივისცემის უნიკალური ტრადიციაა, რომელსაც ვერც ომები, ვერც სეპარატიზმი და ვერც საუკუნეები წაშლის. ორ ხალხს შორის ასეთი ურთიერთობა ჩვენს გენებშია გადასული და მისი ამოძირკვა არც ისე ადვილია, მავანს დღეს რომ ჰგონია.

ასე, რომ სახალხო დიპლომატიას ისეთი დასაყრდენი აქვს, რომლის შერყევა არავითარ ძალას არ შეუძლია.

არადა, დღეს თვით აფხაზეთია ისეთი საშინელი საფრთხის წინაშე, რომლის მსგავსი მას არასდროს ჰქონია მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. რუსეთის „პატრონაჟის“ ვითარებაში მას უბიხი ხალხის ანალოგიურად ეროვნულობის სრული დაკარგვა ემუქრება.

აფხაზეთის დაბრუნებით ჩვენ თვით აფხაზეთს და აფხაზებს გადავარჩენთ და ამ უნიკალურ ხალხს შევუნარჩუნებთ კაცობრიობას და ცივილიზაციას.

მე აფხაზეთთან ბევრი რამ მაკავშირებდა და ხშირადაც მიხდებოდა იქ ჩასვლა. გულრიფშის რაიონში ცხოვრობდა დეიდაჩემი მარო კაჭარავა – ჭედია. დეიდა მარო იყო ბებია დღეს უკვე ცნობილი სასულიერო პირის, სვეტიცხოვლის წინამძღვრის, არქიმანდრიტ მამა სერაფიმესი (ჭედიასი), რომელსაც ერისკაცობაში კახაბერს ვეძახდით. იქ ცხოვრობდნენ ჩემი დეიდაშვილები ოჯახებით, შვილებით, შვილიშვილებით.

დეიდა მაროს მეუღლე ევგენი ჭედია ომის დაწყებისთანავე გაუწვევიათ ჯარში. ომის დამთავრების შემდეგ ის არ გამოჩენილა და დაღუპული ეგონათ, რომ ომის დამთავრებიდან რვა წლის შემდეგ მოულოდნელად დაბრუნდა განახევრებული კაცი. მანამდე კი დეიდა მაროს მძიმე ტვირთად დააწვა მცირეწლოვან ბავშვთა რჩენა და გაზრდა, რის გამოც ის იძულებული იყო, გუთნისდედობაც გაეწია.

მარტოხელა დას, რითაც შეეძლო ხელს უმართავდა დედაჩემი ვერა კაჭარავა-თხილავა და მამაჩემი ნიკოლოზ (კოლია) თხილავა.

ასე გაზარდა დეიდა მარომ ხუთი შვილი.

როგორც მოგახსენეთ, ჩემიანებთან ხშირად ჩავდიოდი და საკუთარი თვალით მინახავს, რა კარგი, მართლაც შესაშური მეზობლობა ჰქონდათ ქართველებს და აფხაზებს.

მახსოვს, პირველად დედაჩემთან ერთად იქ სტუმრად ვიყავი 1949 წელს.

მას შემდეგ ბევრჯერ განმიცდია აფხაზების საოცარი მასპინძლობა და უშურველად მიმიღია ადამიანური სითბო.

გავიხსენებ რამდენიმე ფაქტს:

1978 წელს თვალზე ქირურგიული ოპერაციის გასაკეთებლად დედაჩემი სოხუმის ქალაქის საავადმყოფოში მივიყვანე, სადაც მაშინ მუშაობდა საკმაოდ ცნობილი ოფთალმოლოგი ტემიროვი, მაგრამ არ მიიღეს, რადგან აქ მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრებ პაციენტებს ემსახურებოდნენ თურმე. ჩვენ კი სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირიდან ვიყავით. მომთხოვეს ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ნებართვა. გავიკითხ-გამოვიკითხე და ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების ნაცვლად აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ამოვყავი თავი.

მინისტრი ადგილზე არ იყო და მოადგილესთან, წარმოიდგინეთ, უპრობლემოდ შევედი. ცხადია, აფხაზი იყო. სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს.

შევედი, მაგრამ დახმარების და თანადგომის იმედის ნასახიც არ მქონდა.

ყველაფერი ვუამბე და დახმარება ვთხოვე.

შეწუხდა, გულწრფელად შეწუხდა – არ მაქვს გარედან მოსულ პაციენტებზე ნებართვის გაცემის უფლებაო... მერე მკითხა, ბინად სად დგახარო. ვუთხარი, დეიდაჩემთან, გულრიფშის რაიონის სოფელ ახალსოფელში-მეთქი.

მინისტრის მოადგილემ გაიღიმა და მითხრა:

– მოდი ასე გავაკეთოთ, მოიტანე დეიდაშენის პასპორტი, გავცემ მიმართვას, საავადმყოფოში კი დედაშენი მიიყვანეო.

ასე მოგვარდა ეს საკითხი მაშინაც და ორი წლის შემდეგაც, როცა დედაჩემმა მეორე თვალზეც გაიკეთა ოპერაცია.

1985 წელს სოხუმთან ახლოს, გუმისთაში, დასასვენებელ სახლში „მიმოზოვაია როშჩაში“ ვისვენებდი. ღამით რომ ავტომანქანა დამეყენებინა, ადგილი ვერ ვიპოვე და იქვე ახლოს მცხოვრებ აფხაზ ხაშბას ოჯახის ერთ-ერთ წევრს მოვურიგდი, ორი კვირის განმავლობაში გარკვეულ საფასურად მათ ეზოში მანქანას დავაყენებდი.

მორიგებისას ოჯახის უფროსი მამაკაცი შინ არ იყო.

დასასვენებელი სახლიდან წამოსვლისას მივედი მანქანის გამოსაყვანად და ანგარიშის გასასწორებლად. ოჯახის უფროსი შემომეგება. ცხადია, მაშინვე მიხვდა ვინც ვიყავი და ანგარიშის გასწორება რომ დავაპირე, შემაჩერა, შინ შებრუნდა, სასმელს დასაყოლებლად სურსათ-სანოვაგეც მოაყოლა, იქვე ტაბლაზე დააწყო და მითხრა:

– ქუთაისში, რომ ჩახვალ და იტყვი, აფხაზმა ეზოში მანქანის დაყენებისთვის ფული გადამახდევინაო, ხომ მომეჭრა თავი!...

მერე დამლოცა, ფული არ გამომართვა.

მეც ვადღეგრძელე მასპინძელი, ერთმანეთს ვეამბორეთ და დავშორდით.

დიახ, აფხაზ და ქართველ ძმებს ერთმანეთთან სიყვარულის გარდა გასაყოფი არაფერი არასდროს გვქონია და ჩვენს შორის კონფლიქტის საფუძველი არ იყო, თუ არა გარედან შემოსროლილი შორსგამიზნული პროვოკაციისა.

კიდევ ერთი ძალიან, ძალიან საყურადღებო ეპიზოდი:

როგორც მოგახსენეთ, დეიდა მარო თავისი ნაგრამით გულრიფშის რაიონში, დრანდიდან სულ ორი კილომეტრით დაშორებულ სოფელ ახალსოფელში ცხოვრობდა.

ომის დროს, როცა ქართველთა დევნამ სახიფათო მასშტაბები მიიღო, ჩემმა ყველა ახლობელმა ჭუბერის ჯოჯოხეთური გზით გამოაღწია სამშვიდობოს.

დეიდა მარო შვილებს და შვილიშვილებს არ დაემორჩილა და შინ დარჩა. ჩემი შვილების (ხუთიდან სამი გარდაცვლილი ყავდა) და ქმრის საფლავებს ვერ მივატოვებო, უთქვამს.

ჭუბერისაკენ ჩემების გამომგზავრებისთანავე თავის გადარჩენის ეს გზაც ჩაკეტილა და ბევრი ჩარჩა იქ.

ახალსოფლიდან ოცამდე ქალს, ბავშვს და სამ მამაკაცს გამოსვლა ვერ მოუხერხებიათ. ვითარება იმდენად საშიში გახდა, რომ სოფელში ამ ხალხის გამოჩენდა უკვე სახიფათო იყო. ამიტომ სოფლის ცენტრალური გზიდან საკმაოდ მოშორებით თხილის ტყეში დამალულან.

ბოევიკები, როგორც ამბობენ, სოფელში, თურმე, დღისით შემოდიოდნენ, ღამე კი უფრო სიმშვიდე იყო.

დეიდა მარო, ეს 80-ს გადაცილებული ქალი, დღისით სახლის წინ საცოდავად იჯდა, ღამით კი გამოცოცხლდებოდა, ჩუმად საჭმელს აკეთებდა და ტყეში თავშეფარებულებთან მიჰქონდა.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ სახლის წინ რომ იჯდა, ეზოში შეიარაღებული აფხაზი შემოვიდა, მოხუცს გაესაუბრა და ჰკითხა:

– ეს ხალხი ვინაა, ამდენი სურათი რომ ჩამოგიკიდებია კედელზე?

– ეს სამი შვილია ჩემი, ეს კი ჩემი ქმარია! – აუხსნა ქალმა.

– აფხაზებთან ომში დაიღუპნენ? - დაეჭვდა აფხაზი.

– ყველა აქვეა დაკრძალული... საფლავის ქვაზე ნახეთ თარიღები! ომამდე რამდენიმე წლით ადრე დამეხოცნენ! - ატირდა დეიდა მარო.

აფხაზს სხვა არაფერი უკითხავს.

წავიდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. მოხუცს ერთი პური, შედედებული რძე, კიტრი და პომიდორი მისცა და უთხრა:

– შე საცოდავო, აქ არ უნდა დარჩენილიყავი, საშიშია!... იცოდე, არავის უთხრა, მე თუ მოგიტანე საჭმელი.

– ეს აფხაზი ორ-სამ დღეში ერთხელ აკითხავდა დეიდა მაროს და საკვები მოჰქონდა.

... და ეს გააკეთა აფხაზმა!... გადამთიელმა ბოევიკებმა კი დეიდაჩემის თვალწინ სახლიდან ყველაფერი გაზიდეს, რისი წაღებაც შეიძლებოდა. არც წამება, ტყვია და ფიზიკური შეურაცხყოფა დააკლეს საცოდავ ქალს.

ასე გრძელდებოდა ერთი თვე.

დეიდაჩემს უკვე გამოელია ადრე გადანახული პროდუქტები, რომელსაც ბოევიკებმა ვერ მიაგნეს. მოხუცის იქ დარჩენა და ტყეში გადამალულთა მოვლა-პატრონობა უკვე სახიფათო და შეუძლებელი გახდა. მაშინ დეიდაჩემი იძულებული შეიქმნა ყველაფერი გულწრფელად ეთქვა იმ აფხაზისათვის, რომელიც დრო და დრო კვლავ აკითხავდა და სთხოვა, იქნებ მეც და დამალული ხალხიც გაგვიყვანოთ აქედანო.

აფხაზი უსიტყვოდ წავიდა.

სიკვდილის საფრთხე აშკარა იყო, მაგრამ ხსნის სხვა გზა არ სჩანდა.

ორი-სამი საათის შემდეგ ის აფხაზი სატვირთო ავტომანქანით ე.წ. „სამასვალით“ მოვიდა, დეიდაჩემი და ის ოცდასამი „პარტიზანი“ ძლივს დაატია ძარაზე და მანქანა დაძრა.

არავის უკითხავს, სად მივდივართო.

შეკითხვას, ცხადია, აზრი არ ჰქონდა!

არ ვიცი, იმ აფხაზმა როგორ მოახერხა, მაგრამ ის ხალხი ენგურის ხიდის იქითა ნაპირთან მიიყვანა, ფაცხა-ფუცხით ჩამოჰყარა ძირს და, აბა, გაასწარით როგორმეო, უთხრა.

... ყველა უკლებლივ და მშვიდობით გადმოვიდა ხიდზე.

დეიდაჩემის ამბავი ჩვენ არ ვიცოდით – უთუოდ დაიღუპაო, ვფიქრობდით.

მარო დეიდას რძალი, არქიმანდრიტ სერაფიმეს (ჭედიას) დედა მზენათე კვიტატიანი-ჭედია, მისი ძმა რეზო (რედინი) კვიტატიანი, სერაფიმეს ბიძა ფრიდონ (გუთა) ჭედია და სხვები ყოველდღე მორიგეობდნენ ზუგდიდში, ენგურის ხიდთან, იქნებ ვინმემ იცოდეს, ცოცხალია თუ არა იქ დარჩენილი უმწეო მოხუციო.

ერთხელ, ვხედავ, - იხსენებს ქალბატონი მზენათე, - ენგურის ხიდს იქეთა ნაპირიდან ადამიანთა მოზრდილი ჯგუფი დაიძრა ჩვენკენ. ასეთი რამ მაშინ იშვიათად ხდებოდა და გამიკვირდა!... იმედი მომეცა, დედას შესახებ იქნებ რამე გამეგო... მოახლოვდა ეს ჯგუფი და რას ვხედავ... დედა არ მოუძღვის წინ? ერთ-ერთი შვილის სურათი წინ აუფარებია და მოდის ოთარაანთ ქვრივის ამაყი ნაბიჯებით!... კინაღამ გონება დავკარგე... დედა გადმოვიდა, სხვებიც უკან მოჰყვნენ... ტირილი, სიხარულის ცრემლი, სიცილი, ამბორი და უსაზღვრო გაოცება!... დედამ რაღაც შეკვრა ფაქიზად გადმომცა, ფრთხილად ხელიდან არ გაგივარდესო... სახლიდან შვილების და ქმრის სურათების გარდა სხვა არაფერი წამოუღია... და ეს იყო მთელი მისი სიმდიდრე!

ცოტა მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ის აფხაზი არძინბას ბოევიკებს შეუპყრიათ. ალბათ ქართველების გაქცევის ორგანიზება არ აპატიეს.

1998 წელს ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: უფლება რომ მქონდეს, იმ აფხაზს საქართველოს ეროვნულ გმირად გამოვაცხადებდი!

დიახ, ასეთი იყო აფხაზებისა და ქართველების სისხლისა და გენების კოდი.

მაშ, რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს ძმათამკვლელი ომი?

ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო მტრები დიდხანს და მიზანდასახულად მუშაობდნენ აფხაზების ცნობიერებაზე და უნერგავდნენ სიძულვილს ქართველებისა და ყველაფერი ქართულისადმი. ქართველების სახით მტრის ხატს ქმნიდნენ. ამ მზაკვრულმა პოლიტიკამ ზოგიერთი პატიოსანი აფხაზი თუ ქართველი ააცდინა გზას და, საუბედუროდ, თავის დროზე ვერ შევძელით, აფხაზეთი დაგვეცვა ასეთი მზაკვრული ზეგავლენისაგან.

არადა, საქართველოს შემადგენლობაში უძველესმა, მაგრამ მცირერიცხოვანმა აფხაზმა ხალხმა შეინარჩუნა თვითმყოფადობა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ხშირად მიწევდა ტყვარჩელში (კვეზანსა და აკარმარაში) ნათესავებთან ჩასვლა. მახსოვს, მაშინ აფხაზური გაზეთი ქართული შრიფტით იბეჭებოდა. მოინდომეს თუ მოანდომებინეს და აფხაზებმა თავისი დამწერლობა შექმნეს, მათთვის უზრუნველყოფილი იყო ავტონომია, აფხაზური სკოლები, უნივერსიტეტები, ტელევიზია, თეატრი, პრესა, აფხაზური ენის სახელმწიფო ენად აღიარება და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სიკეთე. აფხაზებმაც და ქართველებმაც კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ რუსეთის სივრცეში აფხაზებს, როგორც უკვე ვთქვი, როგორც ერს, არსებობა არ უწერია.

აფხაზეთის გარეშე საქართველოც ვერ იქნება სრულყოფილი ქვეყანა. ერთმანეთის გარეშე არსებობა გაგვიჭირდება; ჩვენი ეროვნულობა, სულიერება და ინტელექტი გაუფერულდება და საკაცობრიო ღირებულებას დაკარგავს.

საქართველოს სურს და სჭირდება კიდევაც რუსეთთან თანასწორუფლებიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობა, თუ ოდესმე რუსეთი ამის შესაძლებლობას მოგვცემს, დათმობს დიდმპყრობელურ პოლიტიკას და საქართველოს მიმართ განახორციელებს საერთაშორისო ნორმების შესაბამის ურთიერთპატივისცემის, თანასწორობის და სამართლიანი თანამშრომლობის კურსს.

რუსეთთან სამუდამოდ გაბუტული დასავლეთის დაპირებები ისევ მათ პრაგმატულ ინტერესებს ემსახურება და ჩვენ ხეირს ვერ დაგვაყრის.

აფხაზ და ქართველ ხალხებს სხვისი საშუამავლო რა სჭირს, მით უმეტეს მათი, ვინც გაგვიჩაღა ეს ძმათამკვლელი ომი. აფხაზებმა და ქართველებმა ჩვენ თვითონვე უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი ძალისხმევათა გაერთიანებით და ძმური თანამშრომლობის ტრადიციით, რომელიც საუკუნეებს მოიცავს.

მიმდინარე ეტაპზე ეს შესაძლებელი იქნება ორივე მხრიდან სახალხო დიპლომატიის გააქტიურებით და გაღრმავებით.

მუდამ ერთად ვიყავით და ვიქნებით მომავალშიც!

ხსნის სხვა გზა არ არსებობს!

**ბენია თხილავა,**
**მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ „ინტელექტის“ პრეზიდენტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე**

კალათბურთი

# საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ბალტიისპირულ შეკრებაზე გაემგზავრა

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე ბალტიისპირეთში გაემგზავრა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდი ლატვიასა და ესტონეთში 5 ამხანაგურ მატჩს გამართავს. საქართველოს**



**ნაკრები თავდაპირველად ლატვიაში ჩავა, სადაც ამ ქვეყნის ნაკრებთან 2 ამხანაგურ შეხვედრას მოაწყობს. ლატვიაშივე ითამაშებენ ქართველები რუსეთის 18-წლამდელთა ნაკრებთან, რის შემდეგაც ესტონეთში გადავლენ და ადგილობრივ ნაკრებთან 2 საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ.**

საქართველოს ნაკრები სამშობლოში 10 ივლისს დაბრუნდება, სადაც ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონისთვის მზადებას განაგრძობს. კაზანჯიანის გუნდი ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ავსტრიის ქალაქ ობერვარტში 23 ივლისიდან 2 აგვისტომდე იასპარეზებს. საქართველოს ნაკრები საუკეთესო სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს, რათა A დივიზიონის საგზური მოიპოვოს. ავსტრიაში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ჯგუფში იქნებიან: პორტუგალია, შოტლანდია, რუმინეთი, შვედეთი და სლოვაკეთი.

ლატვიაში გამგზავრებამდე 18 წლამდელებმა საკალათბურთო აკადემიაში სპარინგ-მატჩი გამართეს 16-წლამდელებთან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

| საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები | | |
|---|---|---|
| მოთამაშე | პოზიცია | [illegible] |
| დავით აფხაზავა | უკანახაზელი | აკადემია |
| გიორგი გვიანიძე | უკანახაზელი | აკადემია |
| ნიკა ლეონიძე | უკანახაზელი | აკადემია |
| ზურაბ კერესელიძე | უკანახაზელი | ბრნო, **ჩეხეთი** |
| ლევან გოგალაძე | უკანახაზელი | ფრანჩავილა, **იტალია** |
| გიორგი ცხოვრებოვი | ფორვარდი | აკადემია |
| ლუკა ბულაშვილი | ფორვარდი | CBA, **ესპანეთი** |
| დავით ლომიძე | ფორვარდი | არენა (ა ლიგა) |
| ლევან ბაბილოძე | ფორვარდი | მონფერატო, **იტალია** |
| გიორგი გოგუა | ფორვარდი | ტორბელინო, **იტალია** |
| გიორგი ცირეკიძე | ფორვარდი | რიმინი, **იტალია** |
| გიორგი თვალაბეიშვილი | ცენტრი | სევილია, **ესპანეთი** |
| ლადო ფურცხვანიძე | ცენტრი | ქუთაისი |
| ვილი ისიანი | ცენტრი | გრან კანარია, **ესპანეთი** |
| სამწვრთნელო შტაბი | | |
| გია კაზანჯიანი | მთავარი მწვრთნელი | |
| არჩილ ჟღენტი | მთავარი მწვრთნელის ასისტენტი | |
| მიხეილ კობეშავიძე | მთავარი მწვრთნელის ასისტენტი | |
| გელა წულაძე | სპორტული დირექტორი | |
| გიორგი ბუცხრიკიძე | მენეჯერი | |
| ზურაბ ჯანიკაშვილი | ექიმი | |

თანამემამულე

# I ევროპული თამაშები: ვიქტორია რავა — ყველაზე ლამაზი ტელეკომენტატორი




**ვიქტორია რავა ქალთა ფრენბურთის ლეგენდაა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ის თბილისში დაბადებული და გაზრდილია, უბრალოდ, ვიქტორია მართლა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი ფრენბურთელია, ათიოდ წლის წინ კი ქვეყნის რჩეულ სპორტსმენთა შორისაც ხვდებოდა.**

დიდ ფრენბურთში მისი პირველი ნაბიჯები სწორედ იმ ქალაქს უკავშირდება, სადაც ამ დღეებში ევროპის პირველი თამაშები მიმდინარეობდა — 1990-1993 წლებში ვიკა ბაქოს ფრენბურთის კლუბ BZKB-ში თამაშობდა. 1993-1995 წლებში თურქეთში, ანკარას „ვაკიფბანკის" ღირსებას იცავდა, 1995 წლის ზაფხულში კი საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე, პატარა ქალაქ კანში, ამავე სახელწოდების კლუბში გადაბარგდა და მას შემდეგ ადგილსამყოფელი აღარ შეუცვლია.

სამხრეთფრანგულ კლუბში გატარებული 20 სეზონის განმავლობაში ვიქტორია რავა 19-ჯერ(!) გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, 18-ჯერ(!) კი ქვეყნის თასს დაეუფლა! ამას გარდა, 2002 და 2003 წლებში ფრენბურთელთა ჩემპიონთა ლიგაში იმარჯვა, 2006 და 2012 წლებში კი კიდევ ორჯერ ითამაშა ფინალში.

და თუ იმასაც დავამატებ, რომ 2003 და 2006 წლებში ვიკა ჩემპიონთა ლიგის ფინალის საუკეთესო მოთამაშედ, 2004 წელს კი საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს, ჩემი ნათქვამი, რომ ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი ფრენბურთელია, მჯერა, გადაჭარბებულად აღარ მოგეჩვენებათ.

**„კანის" მშვენებამ და ყველაზე ტიტულოვანმა მოთამაშემ განაცხადა:**

— ბაქოში ტელეკომენტატორად ვმუშაობდი — ფრანგულ არხთან TV21-თან ვთანამშრომლობ. ჩვენ პირველი დღიდან ვაშუქებდით ევროპის პირველ თამაშებს, თუმცა მე აქ 21-ში ჩამოვედი.

აქაურობა ძალიან შეცვლილა. წლების წინ ვთამაშობდი ბაქოში და მერეც რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ დღეს პროგრესი აშკარაა — ბაქო ძალიან განვითარებული და გალამაზებულია!

კარიერა მაისში დავასრულე. „კანში" 20 წელი ვითამაშე, გაზაფხულზე მეცხრამეტედ გავხდი ჩემპიონი და ჩავთვალე, რომ გუნდთან გამოსათხოვრად მშვენიერი მომენტი იყო. თანაც, უკვე პატარა აღარ ვარ, კლუბში კარგი გოგოები მოვიდნენ და მათთვის გზის დათმობაც აუცილებელი იყო...

მე და ჩემი მეუღლე კვლავ კანში ვცხოვრობთ. ამირანმა (ამირან ჯიოშვილი, ვიქტორია რავას მეუღლე, საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების ექს-კაპიტანი — **რედ**) ჩემამდე რამდენიმე წლით ადრე დაასრულა კარიერა - მუხლი აწუხებდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. დღეს ის საოჯახო ბიზნესს უძღვება. ბავშვებიც ჩვენთან არიან — კანში ბედნიერად ვართ!

ქართველი სპორტსმენები არ მინახავს, თუმცა დიდად არც ფრანგებს ვაწუხებდი — ათლეტთა სოფელში სტუმრობას ვერიდებოდი. მიხარია, რომ საქართველოს გუნდმა 16 მედალი მოიგო.საქართველოს მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებ!

**კობა კობახიძე**

მეკლდეურობა

# მედლები ორ სახეობაში გათამაშდა

**ლენტეხში ორ დღეს გრძელდებოდა მეკლდეურთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც 55 სპორტსმენი სწრაფ და რთულ ცოცვაში ეცილებოდა ერთმანეთს მედლებს. დაძაბული პაექრობების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**სწრაფი ცოცვა**

გოგონები. **1. დარო რატიანი (მესტია), 2. სალომე მეშველიანი (ლენტეხი), 3. ფატი იოსელიანი (მესტია),** ვაჟები. **1. გიგა ჯანხოთელი, 2. სანდრო ლიპარტელიანი, 3. დათო მუსელიანი (სამივე — ლენტეხი).**

**რთული ცოცვა**

გოგონები. **1. სალომე მეშველიანი (ლენტეხი), 2. ანა დულარიძე (თბილისი), 3. ფატი იოსელიანი (მესტია);** ვაჟები. **1. გიორგი გაბულდანი და გუგა დაბრუნდაშვილი (ორივე — თბილისი), 2. გოგიტა ჩართოლანი (მესტია), 3. ავთანდილ ქურასბედიანი (თბილისი).**

გუნდური. **1. ლენტეხი, 2. მესტია, 3. თბილისი.**

**ლექსო ცინცაძე**



**სურათზე:** სალომე მეშველიანი ასპარეზობისას.

ინტერნეტიდან

# სტეკელენბურგს ცოლი ჰოლანდიაში დაბრუნებას ურჩევს

**ბოლო დროს ნიდერლანდელი გოლკიპერი მარტინ სტეკელენბურგი საფეხბურთო კლუბებს პერანგებივით იცვლის და მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემადგენლობაში დაყენება სანატრელი გაუხდა, ინგლისის პრემიერლიგას ქვისლის ღვინის მარანივით გაუშინაურდა.**

მარტინის ეს კლუბიდან კლუბში უაზრო და არაფრისმომტანი მოგზაურობანი ძალიან არ მოსწონს და აღიზიანებს მის ცოლს კიმ სტეკელენბურგს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მარტინ სტეკელენბურგი იტალიურ „რომაში" ჩაირიცხა, მომავალზე დიდ იმედს ამყარებდა და ყველაფერი ნათელ ფერებში ესახებოდა. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა.



„მარტინს არაერთხელ ვთხოვე და ვურჩიე, თუკი საფეხბურთო კარიერის გაგრძელება ასე ძალიან უნდა, უმჯობესია ნიდერლანდებში დაბრუნდეს. სამწუხაროდ, ჩემი ქმარი ნაკლებად ითვალისწინებს ასეთ რჩევებს და ბოლო დროს იმდენი სახლი გამოვიცვალეთ, ერთ წელზე მეტი ველარსად ვჩერდებით. ჩვენ ერთმანეთი ძველებურად გვიყვარს, მაგრამ სიყვარული და კარიერა, სამწუხაროდ, სხვადასხვა მცნებაა", — ამბობს გულდათუთქული კიმ სტეკელენბურგი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ფეხბურთი

# თბილისის „დინამოს" განრიგი ევროპის ლიგის მატჩის წინ

**თბილისის „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, კლუბი ევროპის ლიგის მატჩზე ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციას ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენას" მედიადარბაზში დღეს 18 საათიდან 18:30 საათამდე გასცემს. ხვალ „დინამო" აზერბაიჯანულ „გაბალას" ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში დაუპირისპირდება. თამაში 20 საათზე დაიწყება და მას ისრაელის მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება.**




აკრედიტაციების გაცემის შემდეგ, 18:40 საათზე „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე მატჩისწინა პრესკონფერენციას გამართავს. 19:00 საათზე თბილისელები ვარჯიშს შეუდგებიან, ჟურნალისტებს კი შეეძლებათ გუნდის წვრთნას პირველი 15 წუთი დააკვირდნენ.

„გაბალას" თავკაცი ჟურნალისტებს 19:30 საათზე შეხვდება. აზერბაიჯანული გუნდი ვარჯიშს 20 საათზე დაიწყებს და პრესას გუნდზე დაკვირვებისთვის 15 წუთს გამოუყოფენ.

„დინამო" — „გაბალას" მატჩზე დასასწრები ბილეთები „დინამო არენას" სალაროებში დღეიდან გაიყიდება, მისი ღირებულება კი 5 ლარი იქნება.

**გიორგი შოთაძე**

თაობათა შეხვედრა

# პატარა ენერგეტიკული მუხტი, რომელიც სიცოცხლეს ახანგრძლივებს



რევო მშვიდობაძე საჩუქრებს გადასცემს იუბილარებს

**ბატონ რევო მშვიდობაძეს სამ წელზე მეტია ვიცნობ... დაუსწრებლად. ჩვენი გაზეთის მკითხველია, კვირაში ორჯერ მაინც მეხმიანება ტელეფონით და გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებზე მესაუბრება, ხან აღფრთოვანებულია, ხანაც აღშფოთებული — ეს რა უქნიათ, როგორ დაუნგრევიათ ქვეყანაო. არასოდეს თავის პროფესიაზე არ უსაუბრია და გამიკვირდა, როდესაც შაბათ დღეს, როგორც „ძველი ნაცნობი და ახლობელი“ პატარა საღამოზე მიმიწვია — ვეტერან ენერგეტიკოსებს ვხვდებითო.**



შეხვედრის მონაწილენი

საბურთალოზე, ყოფილ პროფკავშირების სახლის მიმდებარედ, მოკრძალებულ ოფისში გაუხსნიათ ვეტერან ენერგეტიკოსთა კავშირი, რომლის თავმჯდომარეც თავად ბატონი რევო გახლავთ თურმე. წელიწადში სამჯერ ან შეძლებისდაგვარად ოთხჯერ ვხვდებით ერთმანეთს ვეტერანები, იუბილეს ვულოცავთ, წარსულს ვიგონებთ, ახლანდელ პრობლემებზე ვსაუბრობთ, სამინისტროს ვახსენებთ, რომ ჩვენი გამოცდილებაც წაადგებათ საქმეში, ბატონი კახი და მისი გუნდი არ გვზარდება და გვიხარია, რომ ჩვენს წინადადებებს იზიარებენ, ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი ბატონი რევაზ არველაძე, ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, ენერგეტიკის პროფკავშირი გვერდში გვიდგას. რა ვქნათ, ჩვენ ხომ არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია ვართ, შემოწირულობებით ვსუნთქავთ, მცირედი თანხით ვეხმარებით ჩვენს ვეტერანებს, იუბილეს აღვნიშნავთ წინა მთავრობისგან ჩარეცხილები. ერთმანეთს თუ არ დავუდექით გვერდში, აბა ისე ვის გაახსენდები საუკუნეს მიტანებული ხალხიო.

თავად ბატონი რევო 85 წლისაა, ენერგიული და გურული იუმორით სავსე. შეკრებილნი კი ამ დარგის ვეტერანები არიან, რომლებსაც მათი წინა შეხვედრის შემდეგ მრგვალი თარიღი შესრულებიათ და ახლა გადაუწყვეტიათ ერთად აღნიშვნა, შეძლებისდაგვარად, როგორც იტყვიან, „სანამ საბანი გასწვდებაო“.

„ვგონებ, არც ერთი დარგის წარმომადგენლებს არა აქვთ თავიანთი ვეტერანთა კავშირი და იმგვარი მონდომება, ერთმანეთს რომ ამგვარად მოეფერონ, სიცოცხლე გაუხანგრძლივონ კეთილი სიტყვით, ადამიანს ბევრი არ სჭირდება სიხარულისთვის, მით უმეტეს ამ გაჭირვებულ ყოფაში და ჯერჯერობით დაულაგებელ, პრობლემებით სავსე ქვეყანაში. ახალი მინისტრის დამსახურებაცაა ერთმანეთთან ამგვარი ურთიერთობით, რომ შეგვიძლია არა მარტო ყოფითი პრობლემების მოგვარება, არამედ ჩვენი გამოცდილების გაზიარებაც.. ჩვენთან უნივერსიტეტში სტუდენტებზე ხშირად თავად გვაკითხავს, გვეხმარება, ჩვენს გამოცდილებას იზიარებს, აქ ვეტერანებსაც ორჯერ ეწვია. — ამბობს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის დეკანი ბატონი გია არაბიძე, რომელსაც თავის უფროს კოლეგებთან, ვის ხელშიც თავად გახდა პროფესიონალი, ახლა თავისი ხუთი, ყველაზე წარმატებული სტუდენტი მოუყვანია — თამარ საბელაშვილი, ლევან ციკოლია, იაგორ თურმანიძე, დავით ასპანიძე, ნუცა შამფრიანი. — პირველიდან მეოთხე კურსის ჩათვლით ყველაზე წარმატებულები და წარჩინებულები მოვიყვანე. ვეტერანებთან შეხვედრა, მათი ცოდნის გაზიარება დიდად წაადგებათ და მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ ისე, როგორც მე დამამახსოვრდა სტუდენტობის დროს უფროს კოლეგებთან შეხვედრა“.

პროფესორი გივი კოხრეიძე, აკადემიკოსი ილია ყარაშვილი, ენერგეტიკოსები ტატიანა კოსაია, სალომე კეთილაძე, ლიანა კაკაბაძე, ლაურა ჩანტლაძე, ბიძინა აბესაძე, ნესტან კერესელიძე, ზურაბ ნიქაბიძე, მზევინარ მირზიაშვილი, გიული ცხვარიაშვილი, ზოია მეტრეველი — ეს ის იუბილარები არიან, რომლებმაც თითქმის ნახევარი საუკუნე შეალიეს ამ მეტად რთულ და ქვეყნისთვის მეტად პრიორიტეტულ დარგს. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა, ენერგეტიკის სამინისტროსა და პროფკავშირის წარმომადგენლებმა, მოწვეულმა სტუმრებმა ჩინეთის აღმოსავლეთ რეგიონის ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის თავმჯდომარემ ძანგ ჯინგ ჯიემ და მისმა თანაშემწემ ლი ვანგ ძია ძიუნმა იუბილარებს გულითადად მიულოცეს დაბადების დღე.

ყველაზე ამაღელვებული გახლდათ დარგის ვეტერანების ბატონ ვლადიმერ ჯაფარიძისა და შალვა ზარანდიას სტუმრობა. ისინი თანატოლები არიან — 93 წელს გადააბიჯეს, პროფესიონალი ენერგეტიკოსები სხვადასხვა დროს მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ. აღსანიშნავია, რომ სტუმრად მოწვეული ჩინელი სპეციალისტები ჩინეთში სწორედ იმ უდიდეს ელექტროსადგურს ხელმძღვანელობდნენ, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ბატონ ვლადიმერ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით აიგო.

შეხვედრის დასაწყისში წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთ. დასასრულ კი სიმბოლურად ქართული ღვინით დალოცეს იუბილარები.

„სიყვარული, დაფასება და ერთმანეთის გვერდით დგომა გვჭირდება, თორემ ენერგეტიკოსებს დენის მეტი ვერაფერი მოგვკლავსო“, — გაიხუმრა ბატონმა შალვა ზარანდიამ.



ვლადიმერ ჯაფარიძე ჩინელ კოლეგებთან

მართალი ბრძანდებით, ბატონებო, ჩვენო სასიქადულო ვეტერანებო, ერთმანეთის სიყვარული და პატარა ენერგეტიკული მუხტი გვიხანგრძლივებს ყველას სიცოცხლეს, ამიტომაც თქვენი მოფერება და დაფასება არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ყველა ჩვენგანის ვალიცაა.

**მამუკა ვაშაკიძე**

---

რუზო, რუსუდან გაგუები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ალეკო კაკულიას დის, უსაყვარლესი მომღერლის

**ეთერ კაკულიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ქ-ნი ეთერის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

---

ინფორმაცია

## ახალწვეულებმა ფიცი დადეს

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 245-მა ახალწვეულმა სამხედრო ფიცი დადო.

ფიცის დადების შემდეგ ჯარისკაცებმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულეს და საკუთარი საბრძოლო უნარების დემონსტრირება მოახდინეს. ღონისძიებას განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი მერაბ მალანია, ამავე დეპარტამენტის, ასევე სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ახალწვეულთა ოჯახის წევრები. ცერემონიალის დასრულებისას წვევამდელები მამა ანდრიამ დალოცა.

სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში წვევამდელები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს გაივლიან. შესაბამისი წვრთნების შედეგად სამხედრო საქმიანობას შეისწავლიან და პროფესიონალი ჯარისკაცისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს შეიძენენ.

## ნაციონალური სესიებს კიევში ატარებს

**ერთიანი** ნაციონალური მოძრაობის წევრები უკრაინის დედაქალაქ კიევში, პარტიის თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს შეხვდნენ. შეხვედრის ამსახველ ფოტოს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია, ხათუნა გოგორიშვილი, გიორგი ბარამიძე, ეკა ხერხეულიძე, როლანდ ახალაია, მიხეილ მაჭავარიანი, პეტრე ცისკარიშვილი, კობა ხაბაზი, ირმა ნადირაშვილი, დავით ბაქრაძე, ნუგზარ წიკლაური, თენგიზ გუნავა, მარიამ საჯაია, შოთა მალაშხია, ტარიელ ლონდარიძე, გიგი წერეთელი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ზურა ჭიაბერაშვილი, სერგო რატიანი, გიორგი ვაშაძე, გოკა გაბაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, აკაკი მინაშვილი, ნიკა მელია და სხვები.

---

კრიმინალი

## ხე-ტყის უკანონოდ ჭრა მაინც გრძელდება

შსს-მ სამცხე-ჯავახეთში უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღო. როგორც უწყების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 14 პირი — 1972 წელს დაბადებული ისააკ ბ, 1971 წელს დაბადებული ჯამბულ კ, 1980 დაბადებული გოჩა მ, 1984 წელს დაბადებული არჩილ შ, 1981 წელს დაბადებული მინდია ც, 1957 წელს დაბადებული ნოდარ გ, 1982 წელს დაბადებული დავით ქ, 1986 წელს დაბადებული გიორგი მ, 1979 წელს დაბადებული ზაქარია ს, 1971 წელს დაბადებული ზაქარია ა, 1987 წელს დაბადებული ლევან ხ, 1966 წელს დაბადებული გელა ფ, 1982 წელს დაბადებული მანუჩარ პ. და 1957 წელს დაბადებული შალვა გ. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის, ტყით უკანონოდ სარგებლობის, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ხე-ტყის ტრანსპორტირების და ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე ამხილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ახალციხის რაიონის სოფელ სვირის სატყეო უბანში მინდია ც-ს მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანიდან წიწვოვანი ჯიშის უკანონოდ მოჭრილი 13 ცალი ხუთი მეტრის სიგრძის სამასალე მერქანი ამოიღეს. მხილებულმა მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა მისი მართვის ქვეშ მყოფი, უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა აღმოაჩინეს, შემთხვევის ადგილიდან მიმალვა სცადა, მაგრამ პოლიციამ მინდია ც. იმავე ტყეში აღმოაჩინა.

სამართალდამცველებმა ადიგენის რაიონში ასევე უკანონოდ მოჭრილი, 28 ცალი, 5 მეტრი სიგრძის და 55 ცალი 3 მეტრის სიგრძის სამასალე მერქანი, ბორჯომის რაიონში - 26 ცალი 3 მეტრის სიგრძის და 10 კუბური მეტრი სამასალე მერქანი, ახალციხის რაიონში კი უკანონოდ მოჭრილი 18 ცალი, 3 მეტრი სიგრძის სამასალე მერქანი ამოიღეს, ხოლო სამივე რაიონში უკანონო სახერხი საამქროები დალუქეს.

## დააკავეს თურქეთის მოქალაქე

**საქართველოში** ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში შემოსვლისას, 1971 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე აჰმეთ სამი ონეი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პირი ანკარის ინტერპოლის მიერ 21.02-2014 წლიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე იძებნებოდა.

აჰმეთ სამი ონეი დამნაშავედ ცნეს თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 103/1-ე, 53/1-2-3-ე, 103/6-ე და 62-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც მცირეწლოვნის მიმართ გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

ამჟამად დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები ივლისში

**ივლისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 2, 6-9, 12, 15-26, 29, 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

**2 – სავსე მთვარე, მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რქაში**. შეიძლება შეინიშნებოდეს ცვალებადი პროცესების მაღალი სიჩქარე, ემოციური აღგზნებულობა, შესაძლებლობათა გადაფასება. მოსალოდნელია სახსრების ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის რყევები, სტენოკარდიის, უძილობის შეტევები, მწვავე ფსიქოზები, ტრავმატიზმი. არ არის გამორიცხული სასქესო სფეროს დაავადებანი. რეკომენდებული არ არის დავგეგმოთ სრულფასოვანი ოპერაციები, აცრები. უარი თქვით ალკოჰოლზე, ერიდეთ სტრესებს, აკონტროლეთ არტერიული წნევა.



ხელსაყრელი დროა სწავლისთვის, სერიოზული მუშაობისთვის, შეხვედრები და მოლაპარაკებანი, კონტრაქტების დადება.

**6 – მთვარის შეერთება ნეპტუნთან**. არ არის გამორიცხული ფსიქოლოგიური რეაქციები, თავსმოხვეული იდეები, შესაძლებელია გაციებითი და ინფექციური დაავადებანი, მხედველობის გაუარესება, მიდრეკილება ალკოჰოლისადმი. გაუფრთხილდით თვალებს მკვეთრი შუქისაგან, ნუ გადატვირთავთ მათ ხანგრძლივი კითხვით და სატელევიზიო გადაცემების ყურებით. შეზღუდეთ სითხის მოხმარება, რათა ერიდოთ შეშუპებას. ერიდეთ მოწამვლებსა და ტრავმატიზმს.

**8 – მთვარის დამავალი კვანძი, მთვარის უკანასკნელი მეოთხედი**. მერკური კიბოს ნიშანში გადადის. შეიძლება შეინიშნებოდეს გაღიზიანებულობა, გაუბედაობა, ზედმეტი მგრძნობელობა. ფიზიოლოგიური პროცესები ორგანიზმში იწყებენ შენელებას, მოსალოდნელია განწყობილების გაუარესება და გონებრივი და ფიზიკური აქტივობის დაქვეითება. შესაძლებელია თვალის, სმენის ორგანოების, თავის ტკივილები, მშფოთვარე ძილი, სასურველია, ერიდოთ გადაღლილობას, ერიდეთ აღმგზნებ საშუალებებს, ალკოჰოლს, აგრეთვე სტრესებს.

ხელსაყრელი დროა წამოწყებული საქმეების დამთავრებისთვის, გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისა და სეირნობისათვის.

**15 – მთვარის შეერთება მერკურთან და მარსთან კირჩხიბში**. დიდია კონფლიქტებისა და ადამიანთა აგრესიული ქცევის ალბათობა. ჯანმრთელობა დიდად არის დამოკიდებული ნერვული სისტემის მდგომარეობისაგან და აზრების სახეობისგან. დაავადებას ექვემდებარებიან ნაღვლის ბუშტი, საკვების გადამამუშავებელი სისტემა. არ არის გამორიცხული თავის ტკივილი და პრობლემები სასუნთქ ორგანოებთან. მღელვარებისა და გადაღლილობისაგან შეიძლება დაავადდეს კუჭი, შეეცადეთ, თავი აარიდოთ ინფექციურ სიტუაციებს,ტრავმატიზმს, იყავით ყურადღებით ტრანსპორტით მოგზაურობის დროს. სასარგებლოა გამწმენდი და წყლის პროცედურები. სუფთა ჰაერზე ყოფნა, გონებრივი მეცადინეობა. წესრიგის დამყარება სახლში.

**16 – სავსე მთვარე**. ორგანიზმი დასუსტებულია, იმუნიტეტი დაქვეითებული, შეინიშნება გაღიზიანებულობა, დათრგუნვა, შრომისუნარიანობის დაქვეითება. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, მათ შორის გულისა და კუჭნაწლავისა, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტისა. რეკომენდებულია, უფრო მეტ ხანს დაისვენოთ, ერიდეთ ტრავმატიზმს, დაიცავით სიფრთხილე ტრანსპორტში, ერიდეთ სტრესებსა და კონფლიქტებს. ხელსაყრელი დროა სიმშვიდის შენარჩუნებისათვის, გასეირნებისათვის, ბავშვებთან მეცადინეობისათვის.

**18 – მთვარის შეერთება იუპიტერთან ლომში**. იზრდება საკუთარი მნიშვნელობის გრძნობა. აქტიურობა, აფეთქებულობა, გაღიზიანებულობა, სურვილი ვუხელმძღვანელოთ სხვებს და ვიყოთ მოვლენათა ცენტრში. არ არის გამორიცხული რადიკულიტის, ზურგის ზედა ნაწილის შეტევები. არ შეიძლება სიმძიმეების აწევა, მოწევა, ალკოჰოლის მიღება.

სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, სრულფასოვანი ძილი, ჰაერის აბაზანები.

**19 – მთვარის შეერთება ვენერასთან ქალწულში**. გაზრდილია მიკერძოებულობა და ნერვიულობა. შესაძლებელია უძილობა, კვებითი მოწამლვა, პრობლემები კანთან, ფარისებურ ჯირკვლებთან და სარძევე ჯირკვლებთან დაკავშირებით. სტრესის წინ შეიძლება დაზიანდეს ნერვული სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი და კვების გადასამუშავებელი სისტემა, სასურველია გამოვრიცხოთ ცხიმიანი და მძიმე საკვები, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი. ვიმყოფებოდეთ კომფორტულ მდგომარეობაში.

ხელსაყრელი დროა მკურნალობისთვის, პროფილაქტიკული დათვალიერებისთვის, საქმიანობისა და აქტიურობისათვის.

**24 – მთვარის პირველი მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ეს არის მაღალი ფიზიკური და გონებრივი აქტივობის პერიოდი, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, კონფლიქტები, არტერიული წნევის რყევები. მოწყვლადია გარეგანი და შინაგანი სასქესო ორგანოები. პირდაპირი ნაწლავი. გაზრდილი ტრავმების, ვენერიულ დაავადებათა, ინფექციური ანთებითი ხასიათის პროცესები. სადავო საკითხების გადაწყვეტა და პარტნიორებთან ურთიერთობათა გარკვევა უმჯობესია, გადადოთ. სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, ფიზიკური ვარჯიშები.

**26 – მთვარის შეერთება სატურნთან**. შესაძლებელია დეპრესია, შიში, სიფხიზლე და ეჭვიანობა. საალბათოა შარდსასქესო ორგანოების და პირდაპირი ნაწლავის გამწვავება. არ არის გამორიცხული ტკივილები სახსრებში, ოსტეოქონდროზის გამწვავება. დაიცავით დიეტა, უარი თქვით ალკოჰოლზე, ცხიმიან და ცხარე საკვებზე, ერიდეთ მოტეხილობას, ტრავმატიზმს, გაციებას, ინფექციებს, ნუ ასწევთ სიმძიმეებს, ნუ დაძაბავთ სახსრებს და მოძრავ საყრდენ აპარატს. ახალი საქმეები უმჯობესია, არ წამოიწყოთ.

სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, მასაჟი (ექიმთან შეთანხმებით), გამაჯანსაღებელი პროგრამები.

**29 – მთვარის შეერთება პლუტონთან**. შესაძლებელია ძალის დაქვეითება, მარტოობის გრძნობა. დიდია ძვლებისა და სახსრების დაავადებათა გამწვავების ალბათობა, პრობლემები ქვებთან თირკმელებში და ნაღვლის ბუშტში. არ არის გამორიცხული შარდსასქესო ორგანოების დაავადებანი. აუცილებელია, გაუფრთხილდეთ ხერხემალს, გამორიცხეთ მძიმე ფიზიკური დატვირთვები, ერიდეთ ტრავმატიზმს, გაციებას, ინფექციებს. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი პროცედურები.

ხელსაყრელი დროა სწავლისთვის, სერიოზული მუშაობისთვის, კონტრაქტების გაფორმებისთვის.

**31 – სავსე მთვარე**. მოსალოდნელია ყველა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, მათ შორის ფსიქიკური დაავადებებისაც, არტერიული წნევის რყევები, უძილობა, ემოციური გაუწონასწორობლობა, გაღიზიანებულობა. მოწვლადია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხები. არ არის გამორიცხული კრუნჩხვები და თრომბოფლებიტის გამწვავება, ნუ გადაღლით თვალებს, გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას, ერიდეთ სტრესებს, აკონტროლეთ თქვენი წნევა.

## ყურადღება!

**იყიდება** დიდ დიღომში „იმედის" კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35**.

## იყიდება

**იყიდება** უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 98 56 33; 599 37 00 35.

## ცინცხალი ანეკდოტები

**– პეტკა, მარინასთან გეძინა?**
**– მეძინა.**
**– სვეტასთან?**
**– მასთანაც.**
**– ვერასთანაც?**
**– კი.**
**– შენ, ძმაო ნაღდი გიგანტი ყოფილხარ! ისინი როგორები იყვნენ?**
**– იმათაც ეძინათ.**

* * *

**– ჩემი ცოლი პროკურორივითაა, ის შობელძაღლი, – ეუბნება პეტკა ვასიას – როგორც კი სახლში მივალ, მაშინვე, აბა, ამოისუნთქეო, მეუბნება.**



**– მე ასეთ შემთხვევაში რაც შეიძლება ღრმად და ძლიერად ამოვისუნთქავ ხოლმე.**
**– მერე ცოლი რას შვრება?**
**– ეგრევე ეცემა.**

* * *

**– ექიმო, ჯანმრთელობის შემოწმება მინდა, – ეუბნება ექიმს ასაკოვანი პაციენტი.**
**– უკვე ვიცი, რაც გჭირთ, ჩემო კარგო: ნათლად გამოკვეთილი სკლეროზი და დიაბეტი გაქვთ.**
**– როგორ მიხვდით?**
**– შარვლის შესაკრავი გახსნილი გაქვთ, გარშემო კი ფუტკრები დაფრინავენ.**

* * *

**მატარებლის კუპეში მამაკაცი დაჟინებით მისჩერებია მგზავრ გოგონას. ბოლოს გოგომ მიატოვა წიგნის კითხვა და მამაკაცს ეუბნება:**
**– ნუ მიყურებთ დაქორწინებული კაცის თვალებივით...**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24